# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 3 მაისი 2002 №79 (1601) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

## იმერული პროტესტი ქუთაისი-თბილისის გზაზე დაიკარგა



გუცაევმა ფედერაციაში ხელცარიელმა შეიარა

3

## ბადრი პატარკაციშვილისგან შეიხებისკენ



იოჰან ბოსკამპი არ თმობს: ჩემი გია ჩემთან

4

## ჯალმინიას თავური



დაარტყა, იჩურეტას დაარტყა!

12

## რა არის ჩვენი ცხოვრება? ჩხუბი!



შარო, საიდან მოდიხარ? საქართველოდან

# საშველი შვილებშია
## იაშვილი გოლიაშვილია



ბადრი კილასონიას ფოტო

პირველად იყო გერმანია და 1996 წელი — მაშინ ჩვენი ყმაწვილკაცები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ და ტურნირს საწყის სტადიაზევე გამოეთიშნენ...

დანია-2002 და სანდრო იაშვილი — საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების ამ შემტევმა სამ მატჩში ოთხჯერ გაახვია ბურთი მეტოქეთა კარის ბადეში და ჩვენი გუნდი ახლა მეოთხედფინალშია...

გუშინ გერმანელმა ჟეელებმაც ივაჟკაცეს და რომ არა მათი გაგერმანებული პოლონელის კინკილა გოლი პოლონელთა კარში, კობა ჟორჟიკაშვილისა და მისი ბიჭების დანიური ამბები დასტურ აორთქლდებოდა...

ქართველ პირტიტველათა ყოჩაღობა იმითაც ფასობს, რომ უნგრელებს თამაში შემოუტრიალეს და არც ვერგატანილ პენალტს ჩამოაყრევინეს ყურები...

წინ შვეიცარიაა. ჰანს კრისტიან ანდერსენის სამშობლოდან ქართული ზღაპრის მოსმენა გვწადია...

იხილეთ მესამე გვერდი

# იშვილებს NBA ცქიტიშვილს?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) ხმობილ ჯუნგლებში ქართველებიდან პირველმა ვლადიმერ სტეფანიამ შეაბიჯა. წონოლა ქართველმა გზის კაფვას უკვე წლები შესწირა, სამი კლუბი გამოიცვალა და ჯერაც ვერ ვიტყვით, რომ ბოლოში გავიდა, მას პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში ელიტარულ მოთამაშედ ჯერ კიდევ არ იცნობენ.

გაკვალულზე სიარული უფრო იოლია, მაგრამ არც იმდენად, ნიკა ცქიტიშვილმა გული დაიარხეინოს. 20 წლის ქართველის ნბა-ში გადასვლას სავსებით სერიოზული პირი უჩანს, რადგან იტალიაში გასამართ ევროლიგის ოთხთა ფინალზე ენერგიულად იფუთფუთებს ოკეანის გაღმიდან ჩასული მრავალი სკაუტი, რომელთა ვალია ნიჭიერ და ახოვან ჭაბუკთა შემჩნევა, ხოლო 26 ივნისს ნბა-ში დრაფტი ჩატარდება, მოატანს ნახსენები ხალხის განაწილების ჟამი, როცა ყველა კლუბი უკეთესის დათრევას ცდილობს.

ქართველი ცქიტიშვილი კი ურიგო შეგირდად როდი ესახებათ ნბა-ს კლუბთა ბოსებს. „ჰიუსტონ როკიტსის" და ამერიკის ოლიმპიური ნაკრების ნაქები მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი მისით დაინტერესებულა და „ოთხთა ფინალზე" საკუთარი პერსონით ელიან ლეგენდარულ ჯერი ვესტსაც, ვისი ფიგურაც ნბა-ს ლოგოს ამშვენებს. სავარაუდოდ, დრაფტის უცხოელ წევრთა სიაში ცქიტიშვილი მე-2 პოზიციაზე უნდა მოხვდეს ჩინელი აყლაყუდას, 226-სანტიმეტრიანი იაო მინგის შემდეგ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



# იმერული პროტესტი ქუთაისი-თბილისის გზაზე დაიკარგა



ვლადიმერ გუცაევი

**ორ წელიწადზე** მეტი იქნებოდა, ქუთაისის „ტორპედოს“ შინ თამაში არ წაეგო. გუშინწინ კი პირველივე მარცხს დიდი არეულობა, გაწევ-გამოწევა და გაუგებრობა მოჰყვა.

...75-ე წუთზე სტუმართა მეკარე გიორგი ლომაიამ მასპინძელთა უკრაინელ ლეგიონერ ანდრი პოროშინს, ერთი შეხედვით უწყინარ სიტუაციაში, თავში ხელი ჩაარტყა და რადგანაც ბურთი თამაშში იყო (ლომაიას ხელში ეჭირა), მთავარმა მსაჯმაც ასე განსაჯა — „ლოკომოტივს“ მეკარე გაუძევა და სტუმართა კარშიც პენალტი დანიშნა.

ლევან ფანიაშვილმა ლომაიას მალე მეორე რკინიგზელი ზაზა ჯანაშიაც მიაყოლა. ჰოდა, გაუგებრობაც აქედან დაიწყო. „ტორპედო“ იჩემებს, რკინიგზელი ფანიაშვილმა ჯერ გააძევა და მერე „ლოკომოტივს“ მისი შეცვლის უფლებაც მისცაო.

ქუთაისელებმა მსაჯ-ინსპექტორი თამაშის შემდეგვე გააფრთხილეს — „ტორპედო“ ფედერაციაში გააპროტესტებსო. ამის სრული უფლება რიონისპირელებს ჰქონდათ კიდეც. საჭირო იყო ათასი ლარი, ფედერაციის სახელზე შედგენილი დოკუმენტი და მატჩის გაპროტესტების სურვილი, მსაჯის უხეში შეცდომების დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად.

სურვილი რიონისპირელებს გუშინწინ ჰქონდათ. თამაშის ვიდეოფირიც, ალბათ, არსებობს. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ქუთაისელებმა ათასი ლარი ვერ იშოვეს და პროტესტის შედგენას კიდევ რაღა უნდოდა?!

მოკლედ, თითქოს ყველაფერი იყო, მაგრამ ფაქტია, „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ დასრულებიდან 24 საათის თავზე ფედერაციაში ქუთაისელთა პროტესტი არ იყო შეტანილი. ამის შემდეგ კი რიონისპირელთა ყველა მცდელობა უშედეგო იქნება.

არადა, საკვირველი ის არის, რომ „ტორპედოს“ წარმომადგენელი გუშინ დილით ფედერაციაში ბრძანდებოდა, მაგრამ ვლადიმერ გუცაევს სააპელაციო კომიტეტი არ შეუწუხებია.

ქუთაისელთა მტკიცებით, პროტესტი თამაშის შემდეგვე გაფორმდა და გუშინ კლუბის წარმომადგენლებმა თბილისში წამოიღეს ზედმიწევნით შედგენილი და სამხილებით გამყარებული დოკუმენტი.

თუ „ტორპედოს“ მენეჯერ ვლადიმერ პანოვს ვერწმუნებით, მაშინ პროტესტი ფედერაციაში კლუბის ვიცე-პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს უნდა წარედგინა. რამიშვილის მტკიცებით, ეს მისია გუცაევს უნდა შეესრულებინა. გუცაევი დილით ფედერაციაში კი იყო, მაგრამ...

გუშინ საღამოს ბატონ ვოვას რომ შევეხმიანეთ, მან გვითხრა, ჯერ კიდევ ვფიქრობთ და მოგვიანებით შემეხმიანეთო. იმ დროისთვის დებულებით გათვალისწინებული 24 საათი ამოწურული იყო, ფედერაციის ბუღალტერია დაკეტილი და თანამშრომლებიც სახლებში გაკრეფილი.

ეტყობა, „ტორპედომ“ მატჩის შედეგის გაპროტესტება გადაიფიქრა, მაგრამ რატომ, ეს გაუგებარია. გამოდის, მსაჯი ცამდე მართალია, ანაც რიონისპირელებს ფანიაშვილის შეცდომის დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნიათ.

თავად მატჩის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** სადავო ეპიზოდს ასეთ კომენტარს უკეთებს:

— ლომაია რომ გავაძევე და თერთმეტმეტრიანი დავნიშნე, ჯანაშიამ პირველი უკმაყოფილება მაშინ გამოთქვა, მაგრამ მაშინ ისეთი არაფერი ჩაუდენია და მისთვის ყურადღება არც მიგვიქცევია.

„ტორპედოს“ პენალტი უნდა დაერტყა, ამისთვის საჭირო იყო რკინიგზელთა კარში მეკარე მდგარიყო და მწვრთნელებმაც აღელვებული ჯანაშია შეცვალეს.

ეს იცოდა მეოთხე მსაჯმა ანიაშვილმაც და ვიცოდი მეც. უბრალოდ, ჩვენ წესისა და რიგის მიხედვით ვერ შევძელით ამ ცვლილების დაფიქსირება. მოედანზე ხომ თითქმის უმართავი სიტუაცია იყო და ორმოცამდე კაცი ირეოდა.

ეტყობა, შეცვლამ გაალიზიანა ჯანაშია და ჩემთან მოსულმა სახეზე ხელი წამავლო, მართალია, არ დაურტყამს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, წითელი ბარათი ვუჩვენე და უკვე შეცვლილი გავაძევე.

ვიმეორებ, რომ არა არეულობა მოედანზე, სადავოც არაფერი იქნებოდა. გულშემატკივარიც და „ტორპედოს“ ხელმძღვანელობაც კარგად დაინახავდა ყველაფერს და ინციდენტიც ამით დასრულდებოდა.

ამის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **რომან შოთაძეს:**

— მე წავიკითხე მსაჯ-ინსპექტორის პატაკები, გავესაუბრე მათ, ტელევიზიით ვნახე თამაში, ვერსად მოვკარი თვალი და ვერსად მოვისმინე, რომ ფანიაშვილმა ჯანაშია შეცვლამდე გააძევა. ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. ქუთაისელთა პროტესტი ჯერ ფედერაციამდე არ მოსულა, მაგრამ მე მაინც უსაფუძვლო მგონია.

**გამუკა ძგანტალიანი**

# გიორგი ხელგრძელი

## ლომაიას ინსტინქტი და ბოდიში



გიორგი ლომაია

**თბილისის** „ლოკომოტივისა“ და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მეკარეს, გიორგი ლომაიას პატიოსან და წყნარ ბიჭად ვიცნობთ, ამიტომაც მოულოდნელი იყო მისი ქუთაისში ჩადენილი საქციელი. გიორგი ლომაიამ ანდრი პოროშინს თავში ხელი ჩაარტყა, ფანიაშვილს თავი გააგდებინა და „ლოკომოტივიც“, ფაქტობრივად, მარცხისთვის გაწირა.

არადა, რკინიგზელმა ქუთაისში კარიერაში პირველი ბარათი მიიღო, აქამდე მსაჯებს ერთხელაც არ გაუფრთხილებიათ...

— ნერვიული თამაში იყო, ყველაფერი ინსტინქტურად მოხდა. მანამდე ერთ-ორ მომენტში პოროშინი განზრახ დამეჯახა. მესამედ ვერ მოვითმინე, ხელი გამექცა და...

**— თამაშის შემდეგ ინციდენტს გაგრძელება ხომ არ მოჰყოლია?**

— პოროშინისთვის გამეტებით არ მომიქნევია. ანდრიმ იმ მომენტში ცოტა გააფორმა კიდეც და ვითარება უფრო დრამატულად წარმოაჩინა. თამაშის შემდეგ კი რაღა უნდა მომხდარიყო, მივედი პოროშინთან, მოვუბოდიშე და შევრიგდით. მოედანზე რაც მოხდა, იქ უნდა დაიმარხოს. მერწმუნეთ, მე განზრახ არაფერი ჩამიდენია, ემოციამოძალებულს ხელი ინსტინქტურად გამექცა.

**გამუკა ძგანტალიანი**

# გურულების შფოთობა რომ არა...

**გუშინწინ** „გურიამ“ „სამგურალთან“ წააგო... ლანჩხუთს გარეთ ეს ამბავი თითქმის არავის გაჰკვირვებია. ძალიან სუსტი გუნდი ჰყავთ გურულებს, მაგრამ „ევგრაფი შევარდნაძეზე“ მისული ორასამდე ერთგული ქომაგი თურმე სტუმარ-მასპინძლის საცოდაობით იწვოდა...

„თუ მოილაპარაკეთ, ძამა, მთელ ქვეყანას მაინც ნუ შეატყობინებთ“ — ანამუსებდნენ გუნდებს გულშემატკივრები. გაუგებარია, რაზე ვერ შეთანხმდნენ გურულები და იმერლები, მაგრამ მატჩის თვითმხილველთა აზრით, ფეირ პლეის პრინციპები აშკარად დაირღვა. თუმცა ასე არ ფიქრობენ ფეხბურთის ფედერაციაში. „გურია“ — „სამგურალის“ მსაჯ-ინსპექტორმა კომენტარისგან თავი შეიკავეს — ჩვენი მოსაზრებები ხელმძღვანელებს ვაახლეთო, ხოლო ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ ყველაფერი „გურიას“ უილაჯობას და უსუსურობას მიაწერა:

„არა მგონია, ლანჩხუთში რაიმე გარიგებას ჰქონოდა ადგილი. მაშინ ყველა იმ თამაშშიც უნდა დავეჭვდეთ, რომელიც ქვეექვსეულში ლანჩხუთელებმა ჩაატარეს. უბრალოდ, „გურია“ ძალიან სუსტი და ფინანსურადაც შეჭირვებული გუნდია“.

ფიცისა როგორ არ გვწამს, მაგრამ გურულებმა და იმერლებმა თავიანთი ქცევით მაინც გაგვაკვირვეს.

**დათო დანელია**

საქართველოს ჩემპიონატი 13 პირველი ლიგა მეორე ეტაპი

# 6 ტური

## I–VI ადგილები

# ასკარა და აშკარა

თბილისი. 2 მაისი. 17.30 საათი
ლოკომოტივის ბაზა. 200 მაყურებელი

**ლოკომოტივი 3 0:1 მილანი**

0:1 სამხარაძე (61)

**ლოკომოტივი 3:** ბობლიაშვილი, გვარუციძე, აბეჩხრიშვილი, მ. ლომიძე (თაყაიშვილი 73), ბერელიძე, ელძაროვი, სოსელია, ბრუდაშვილი, მორჩილაძე (ხურცილავა 46), სირბილაძე (ქითანავა 65), ქარდავა

სათადარიგონი: იგარდავა, ძოძუაშვილი, ხაჩიძე, ცხოიძე

**მილანი:** გრძელიძე, დიმიტრიშვილი, ტარულაშვილი, ბარამიძე, მეტონიძე, მ. სამხარაძე, ქარჩავა (გამცემლიძე 46), მოსიაშვილი, როსტიაშვილი (ჩიტაური 83), გოლეთიანი, მედოევი (ჭალიაშვილი 46)

სათადარიგონი: ეგაძე, მებონია

**გაფრთხილება:** ლომიძე (17), სოსელია (74), გოლეთიანი (82), ელძაროვი (82)

**გაძევება:** სოსელია (74)

**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი); ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; გ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. ფიფია

ჯარიმა: 23-22; კუთხური: 2-6; კარისკენ დარტყმა: 4-12; კარში დარტყმა: 2-10; ოფსაიდი: 3-2

**პაატა ძგანტალიანი**

**ფნორის „მილანისთვის“** უმაღლესი ლიგის გზა რკინიგზაზეც გადიოდა. კახელებმაც მშვიდობით გაიარეს მორიგი სადგური და ჩახსნილი ვაგონივით უმოქმედოდ დატოვეს გუშინდელი მასპინძელი „ლოკომოტივი 3“.

რკინიგზელთა ბაზის კიდეებდატბორილ, უხარისხო სარბიელზე სტუმრებმა შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს და იოლად მოიპოვეს სამი ქულა. ისეთი მატჩი იყო, ანგარიში სრულად რომ ვერ ასახავს მოგებულის უპირატესობას. აშკარად იძალეს კახელებმა. დებიუტში სულაც საჯარიმოდან არ გამოიყვანეს მეტოქე და მაშინვე მოამთავრებდნენ საქმეს, გოლეთიანს და მედოევს ორ-ორი ხელსაყრელი შანსი რომ არ გასცუდებოდათ.

პირველ ლიგას დაუბრუნდა ორი წლის წინ მსაჯთა სამმოს მოკვეთილი ქართლელი არბიტრი გურამ ასკაროლლი. სასჯელმოხდილ „ასკარას“, ეტყობოდა, საქმე მონატრებოდა და მატჩისეული ორიოდ უნებლიე შეცდომა მოსატანიც არ არის, რადგან მთლიანობაში ჩვეულად, მონდომებულად გაისარჯა.

ექვსეულში უმოტივაციოდ დარჩენილი „ლოკომოტივი 3“ მე-20 წუთისთვის გამოფხიზლდა. რკინიგზელებმა ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა შეძლეს და მალე ის ორი საგოლე შანსი გაანიავეს, მთელი მატჩის განმავლობაში რომ გაუჩნდათ. ჯერ სირბილაძეს გაუცუდდა თავური ქარდავას ფლანგური პასისას — „მილანი“ ხარიხამ იხსნა, მერე კი სოსელიას მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ ექვსიოდე მეტრიდან მეტოქე მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ვერ ისარგებლა.

სოსელიამ თავის გამოჩენა მატჩის დამთავრებამდე თექვსმეტი წუთით ადრე შეძლო, გაფრთხილება მიღებულმა ტაშისკვრით წითელი რომ გამოსტყუა ასკაროლლის.

დანარჩენი ამბები „სამილანოა“... უხარისხო მოედანმაც კი ვერ შეუშალა ხელი სტუმრებს ზუსტი, მოკლე გადაცემებით მეტოქის მსხვრევაში. კახელები დიდხანს ინარჩუნებდნენ ბურთს, ეფექტურად ეპარებოდნენ მეტოქის საჯარიმოს, იქ კი ინიციატივას გამოცდილი ბარამიძე იღებდა და ზუსტი პასებით საგოლედ ამარაგებდა თანაგუნდელ შემტევებს. შესაბამისად ბობლიაშვილის კართან ბევრი ხიფათი იქმნებოდა, ხან სტუმრებს არ უმართლებდათ, ხანაც მეკარე ყოჩაღობდა. მაგრამ 51-ე წუთზე მანაც ვერაფერი მოუხერხა მირზა სამხარაძის ცაციათი გასროლილს — ექსსიონელმა ნახევარმცველმა გოლეთიანის პასის მერე ოციოდე მეტრიდან მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეჭედა ბურთი.

გოლის შემდეგ სტუმრებმა ტაქტიკა შეცვალეს, რაც სწრაფი ჭალიაშვილის მოედანზე შემოსვლამაც განაპირობა. ამ მოუხელთებელმა ნახევარმცველმა სიქა გააცალა მასპინძელთა მარჯვენაფლანგელებს, პარტნიორებიც შორეულ ზუსტ პასებს არ უგვიანებდნენ. ჭალიაშვილი უპრობლემოდ ატყუებდა ორ მეტოქეს და მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში აწვდიდა ბურთს, სადაც ტრავმირებული მედოევისგან ესტაფეტაგადაბარებული პაატა გამცემლიძე და ოთარ როსტიაშვილი ბობოქრობდნენ. გამცემლიძეს ორჯერ აუღო ბობლიაშვილმა, სამჯერ კი როსტიაშვილის დარტყმებისას სასწაულებრივ გადარჩნენ გოლს რკინიგზელები. მატჩის ბოლოს ანგარიშის გაზრდის შანსი გოლეთიანსაც ჰქონდა, მაგრამ მეკარის და თავდამსხმელის დუელი პირველის გამარჯვებით დასრულდა. მოკლედ, გამარჯვება სტუმრებს დარჩათ და თითის გაწვდენაზეღაა უმაღლესი ლიგა ქიზიყელებისთვის.



მილანელი გოლეთიანი მასპინძელთა მეკარე ბობლიაშვილმა კარიდან ილეთით მოიგერია

**ქობულეთი 1:0 დილა**

**ცხინვალი 0:2 თსუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 6 | 0 | 0 | 10:0 | 41 |
| დილა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:5 | 37 |
| ქობულეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 33 |
| თსუ | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | 32 |
| ლოკომოტივი 3 | 6 | 1 | 0 | 5 | 8:9 | 23 |
| ცხინვალი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:14 | 18 |

## VII–XI ადგილები

**ხობი 0:0 სამტრედია**

**მერანი 2 2:1 ლაზიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 24 |
| ლაზიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 11:6 | 20 |
| ხობი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 18 |
| მერანი 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:12 | 14 |
| სამტრედია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 14 |

**ინგლისი**

პლეი ოფი

მილუოლი 0:1 ბირმინგემი

**შვედეთი**

V ტური

ჰალმსტადი 1:1 იორგრიტე

ლანდსკრონა 1:1 ნორჩოპინგი

იორებრო 2:0 ელფსბორგი

აიკ 2:2 ჰამარბი

17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
uefa european under 17 championship
დანია. 27 აპრილი-10 მაისი

# ახლა სანდროს დროა

## გერმანიამ საქართველო მეოთხედფინალში გააწევრიანა

**D ჯგუფი**

**2 მაისი**

**საქართველო 2:1 უნგრეთი**

0:1 დისტცლი (19), 1:1, 2:1 იაშვილი (37, 43პ)
კვახაძემ ვერ გაიტანა პენალტი (14, მეკარე)
საქართველო: ჯინჭარაძე, კალაძე, მიქიაშვილი, ელიავა (ბარაბაძე 69), შ. ქელიძე (გ. ქელიძე 52), ხოჯავა, ველაშვილი, იაშვილი, კაპანაძე, კვახაძე (გურული 41), ლუტაშვილი
სათადარიგონი: ჩალაძე, ხუბუტია, კუტივაძე
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი
უნგრეთი: მოლნარი, ტურუკა, ვადუცი, დანქსი (ტოზირი 41), მოლი (გ. პორვატი 67), დისტცლი, სელეი, ვარგა, რიბი, დ. პორვატი, პალი
სათადარიგონი: მატიუ, კუდუბუცი, დემუსი, იერმისი
გაფრთხილება: დისტცლი (55), იაშვილი (72), ხოჯავა (78)
მსაჯები: ა. კელი (ირლანდია); დ. პაპადოპულოსი (საბერძნეთი), პ. ნილოპი (ქეტონეთი); ტ. ვერლგაარდი (დანია)

**საქართველოს** ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა გამარჯვებით დაასრულა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი და მეოთხედფინალში გავიდა. დანიაში ქართველთა პირველი მსხვერპლი უნგრეთის ნაკრები გამოდგა. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები თავიდანვე დიდ უპირატესობას ფლობდნენ და მე-14 წუთზე დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ სანდრო იაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზურაბ კვახაძემ ვერ გამოიყენა — უნგრელთა მეკარემ მატიუ მოლნარმა აჯობა. ეს იყო და ქართველებმა კვლავაც მეტოქის კარისკენ გაიწიეს, თუმცა- მალე გოლი საკუთარ კარში მიიღეს — დისტცლიმ ჩვენებურთა უყურადღებობით ისარგებლა და თავისიანები დააწინაურა.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ წინა შეხვედრებში მიღებული ორი გაფრთხილების გამო, ამ მატჩს გოგი ფიფია ტოვებდა, რაც ჩვენებურთათვის სერიოზული დანაკლისი აღმოჩნდა, თუმცა ქართველებმა მაინც იძალეს და 37-ე წუთზე სანდრო იაშვილმა ანგარიში გაათანაბრა. იაშვილმავე მეორე ტაიმის დაწყებიდან რამდენიმე წუთშიც გამოიჩინა თავი. მას მეტოქის საჯარიმოში კვლავ ეუხეშნენ და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. ამჯერად პენალტის შესრულება თავად დაზარალებულმა ითავა და — 2:1. იაშვილმა თავისი და საქართველოს ნაკრების მეოთხე გოლი გაიტანა ევროპის ჩემპიონატზე.

უპირატესობას ამის შემდეგაც ქართველები ფლობდნენ და რამდენიმე რეალური შანსიც შეექმნათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ... გერმანელებმა შეძლეს პოლონელთა კარის დალაშქვრა, რამაც საქართველოს ნაკრებს მეოთხედფინალისკენ გაუხსნა გზა.

მატჩის შემდეგ დანიაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელ **ლევან ყიფიანს** დავუკავშირდით, რომელიც, ცხადია, ჩინებულ ხასიათზე იყო:

— ძალიან გახარებული ვარ. ბიჭებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და მიხარია, რომ ეს დაგვიფასდა. მესამე გოლის გატანაც ძალიან გვინდოდა, მაგრამ ბევრი შანსი გავანიავეთ. უნგრელებს თითქმის ყველაფერში ვაჯობეთ.

**— თავიდან ცოტა არ იყოს, გაგიჭირდათ. ალბათ, ბიჭებს დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდათ...**

— დიახ, უნგრელებმა გოლი პირველებმა გაგვიტანეს, მაგრამ ეს უყურადღებობის ბრალი უფრო იყო. პენალტი ვერ გამოვიყენეთ და ეტყობა, ამან ცოტა დაგვაბნია, მაგრამ მერე გამოვფხიზლდით და შევუტიეთ. ფაქტობრივად, უნგრელებს მთელი მატჩის განმავლობაში მეტი შანსი არც ჰქონიათ.

**— ალბათ, ამაზე გაჩერებას არ აპირებთ...**

— რა თქმა უნდა, არა. აქ მცხოვრები ქართველებიც ძალიან გვიჭერენ მხარს. უნგრეთთან და წინა მატჩებშიც ისინი მეთორმეტე ფეხბურთელის როლს ასრულებდნენ ჩვენთვის. მათი მხარდაჭერის იმედი პლეი ოფებშიც გვაქვს. ძალიან მიხაროდა, როცა მოგების შემდეგ მათ ბედნიერ სახეებს ვუყურებდი.

**— მეოთხედფინალში შვეიცარია გელით. რისი თქმა შეგიძლიათ ამ გუნდზე?**

— შვეიცარიელები უკრაინასთან ერთად იყვნენ ჯგუფში. შევხვდი უკრაინელებს და როგორც მითხრეს, ძალიან ძლიერი გუნდია. თანაც ბოლო წლებში ამ ქვეყანას ბავშვთა ფეხბურთში აღმავლობა აქვს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ მათ ჯგუფში ფავორიტი პორტუგალია ჩატოვეს. თუმც რატომღაც მგონია, რომ საფრანგეთთან შეხვედრას ისევ შვეიცარია სჯობს. ეს მხოლოდ ჩემი აზრია. ვნახოთ, მეტოქეს კარგად შევისწავლით. შეიძლება, მათი თამაშის ფირიც მოვიპოვოთ. უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეიძლება.

**პოლონეთი 0:1 გერმანია**

**გერმანია — პოლონეთის** მატჩში საქართველოს ნაკრების ბედიც წყდებოდა. ახლა ყოველ შესაძლო ვარიანტზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, ჩვენებურებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახულ მიზანს და ჯგუფიდან გავიდნენ. მაგრამ რომ არა გაგერმანელებული პოლონელი პოდოლსკი, უნგრეთთან 2:1 მოგებული მატჩი ჩვენთვის არაფრისმომცემი იქნებოდა.

პირველი ტაიმი საკმაოზე მეტად ფრთხილი თამაშით აღინიშნა. გერმანელები თუ არ წააგებდნენ, თავი ქუდში ჰქონდათ და შეტევაზე დიდად არც ფიქრობდნენ. თანაც მათმა მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის ორი წევრი, ორივე თავდამსხმელი — ზანგი სენესიე და წარმოშობით პოლონელი პოდოლსკი დაასვენა. თუმც პოლონელთა ზედმიწევნით დაცვაზე აგებულმა ტაქტიკამ ისინი მაინც აიძულა, მეტოქისთვის შეეტიათ.



სანდრო იაშვილმა (№10) გერმანიასთან და პოლონეთთან გატანილ თითო გოლს, გუშინ ორი უნგრულიც მიამატა

ტაიმი ისე გაილია, რომ მოწინააღმდეგეებს ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ.

მეორე ტაიმში კვლავ გერმანელები დომინირებდნენ, პოლონელები კი შეტევაზე საერთოდ არ ფიქრობდნენ. ისე ჩანდა, თითქოს მეტოქეები ასევე დაშორდებოდნენ ერთმანეთს, რაც საქართველოს ნაკრებს ურთულებდა საქმეს.

თუმც გერმანელთა თავკაცის მიერ განხორციელებულმა ცვლილებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შეცვლაზე რამდენიმე წუთის შესულმა პოდოლსკიმ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ჩინებული თავური დაჰკრა და თავისი ისტორიულ სამშობლოს ჯგუფიდან გასვლის შანსი მოუსპო. პოლონელები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და გოლის გასატანად გაიწიეს, მაგრამ ვერას გამორჩნენ. გოლის გატანას ვინ ჩიოდა, ბოლო წუთებში ზურგმოშიშვლებულმა პოლონელებმა საკუთარ საჯარიმოში ღია კარის დღე გამოაცხადეს და გერმანელებიც ისე დასეირნობდნენ მეკარის ცხვირწინ, ვითომც არაფერი. ერთი-ორჯერ პოლონელთა კარის დარაჯის პირისპირ ოთხი გერმანელიც გავიდა, მაგრამ... მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ხომ გაგიგონიათ?

საბოლოოდ გერმანიამ გაიმარჯვა. ამ გამარჯვებამ კი ზემოთაც ვთქვით, საქართველოს ნაკრებს მეოთხედფინალის გზა გაუხსნა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |

**ბახა ზალამბერიძე**

**B ჯგუფი**

**2 მაისი**

**საფრანგეთი 1:2 შვეიცარია**

**უკრაინა 1:2 პორტუგალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**მეოთხედფინალი**

**4 მაისი**

ინგლისი – იუგოსლავია
ესპანეთი – დანია

**5 მაისი**

შვეიცარია – საქართველო
გერმანია – საფრანგეთი



ფრანსუა დე იონგი, იოჰან ბოსკამპი და გია გეგუჩაძე არაბეთშიც ერთად არიან

# პატარკაციშვილიდან შეიხებთან

## იოჰან ბოსკამპი არ თმობს: ჩემი გია ჩემთან

*ვისაც იოჰან ბოსკამპის ხანმოკლე ქართული ეპოქა ახსოვს, არც მისი ჩვენებური თანაშემწე გია გეგუჩაძე უნდა დაავიწყდეს — ის ნაკრებშიც ეხმარებოდა ჰოლანდიელს...*

*გეგუჩაძე ბოსკამპამდეც თბილისის „დინამოს" მწვრთნელთაგანი იყო და მერეც ამ კლუბში მუშაობდა. წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან კი რუსთავის „გორდას" ჩაუდგა სათავეში და გუნდი უმაღლეს ლიგიდან გავარდნას გადაარჩინა. შემდეგ მისი და „გორდას" გზები გაიყარა და მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპიდან „დინამო 3"-ის გაწვრთნას შეუდგა...*

*ახლახან კი გია გეგუჩაძე იოჰან ბოსკამპს და ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ფრანსუა დე იონგს დაუბრუნდა, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების ფიზმომზადებისთვის ილვწოდა...*

**— დაახლოებით ერთი თვეა, რაც არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გაემგზავრეთ, თუმც თქვენი წასვლის ზუსტი მიზეზი მყისვე ვერ შევიტყვეთ...**

— დუბაიში ჯერ, ასე ვთქვათ, სიტუაციის გასაცნობად ჩავედი. რამდენიმე დღის წინ კი კონტრაქტს მოვაწერე ხელი პროფესიულ საფეხბურთო კლუბთან, რომლის სრული სახელწოდებაა „ელ ვასო სპორტ კლაბი". ეს გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში ახლა მე-4 ადგილზეა.

**— როგორ აღმოჩნდით ამ გუნდში, ვინ მიგიწვიათ?**

— გუნდის მწვრთნელი იოჰან ბოსკამპია და, ცხადია, მისი მიწვევით ჩავედი დუბაიში. აქვეა ფრანსუა დე იონგიც. ჩემამდე ბოსკამპს ერთი ასისტენტი უკვე ჰყავდა და ის ბელგიელია, ხოლო მეკარეთა მწვრთნელი — ჰოლანდიელი.

**— კონტრაქტს რა ვადით მოაწერეთ ხელი?**

— კონტრაქტი ერთწლიანია და ბოსკამპის ასისტენტობის გარდა სხვა რამეც მევალება — კლუბს ბავშვთა საფეხბურთო სკოლაც აქვს, რომლის ყველა ასაკობრივი გუნდის მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს.

**— თქვენ ხომ მანამდე „დინამო 3"-ის მწვრთნელადაც დაგნიშნეს...**

— თბილისის „დინამოსთან" არანაირი კონტრაქტი არ მაკავშირებს, „დინამო 3"-ში ხელშეკრულების გარეშე ვმუშაობდი.

**— საემიროების ეროვნულ ჩემპიონატში რამდენი გუნდი მონაწილეობს?**

— თორმეტი და ისინი ორ წრეს თამაშობენ. პარალელურად მიმდინარეობს პრეზიდენტის თასის გათამაშება. ასე რომ, გუნდები თამაშების ნაკლებობას არ განიცდიან.

**— „ელ ვასო სპორტ კლაბი" ჩემპიონობისთვის იბრძვის?**

— არა, საჩემპიონო შანსი აღარ გვაქვს, სამეულში მოხვედრას კი შევეცდებით, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური და დარჩა.

**— პირობებით კმაყოფილი ხართ?**

— დიახ, უკვე ბინაც გამომიყვეს, საცაა, ავეჯსაც შეიტანენ და ოჯახსაც აქ ჩამოვიყვან.

**— საემიროების ეროვნული ჩემპიონატის დონეზე რას იტყვით?**

— ის ოდნავ მაღალია საქართველოს ჩემპიონატზე. სხვათა შორის, აქ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია. დუბაის ერთ-ერთ გუნდში კი ჟორჟ ვეა თამაშობს. ჩვენ ორი ლეგიონერი გვყავს, ირანელი და ჩილელი ფორვარდები.

**— თქვენ და ბოსკამპი არ აპირებთ გუნდში ქართველი ფეხბურთელების მიწვევას?**

— ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ისე, ქართველ ფეხბურთელებთან, ალბათ, გვექნება კონტაქტები. თუმც პირადად მე მენეჯერული საქმიანობის დაწყებას არ ვაპირებ. უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობა კი საემიროების გუნდებში ლიმიტირებულია — არაუმეტეს ორი ლეგიონერი.

რაც შეეხება მწვრთნელებს, საემიროებში ახლაღა დაიწყეს უცხოელი სპეციალისტების მიწვევა. იოჰან ბოსკამპს კლუბში დიდად ემადლიერებიან, ხედავენ, რომ მან ბევრი სასიკეთო სიახლე შემოიტანა.

**— „ელ ვასო სპორტ კლაბი" ფინანსურად დაახლოებით რა შესაძლებლობებისაა?**

— აქაურ კლუბებს არ უჭირთ. ქვეყნის მთავრობა უმაღლესი დივიზიონის თორმეტივე გუნდს ყოველწლიურად შვიდ მილიონ დოლარს ჩუქნის, რათა ქვეყანაში ფეხბურთი განვითარდეს. გარდა ამისა, კლუბებს თავიანთი მეპატრონეებიც ჰყავთ, რომლებიც, ცხადია, დამატებით აფინანსებენ მათ. ჩვენს და ყველა დანარჩენ კლუბებსაც შეიხები პატრონობენ. აქ ძალიან კარგი მოედნებია. ყველა ბავშვთა საფეხბურთო სკოლას ისეთი მინდორი აქვს, რომ შეიძლება ჩვენს „ეროვნულსაც" კი სჯობდეს.

**დავით თავართქილაძე**

# ჩემპიონთა ლიგა ნახევარფინალი საპასუხო მატჩი

# რეალი 1:1 ბარსელონა (2:0)

**მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. 75 000 მაყურებელი. მსაჯი: პიერ ლუიჯი კოლინა (იტალია)**

სესარი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ზიდანი (კონსეისაო 46), ფიგუ (მაკმანამანი 68), სოლარი, რაული, გუტი (პავონი 87)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

1:0 რაული (43),
1:1 ელგერა (48 ს.კ.)
გაფრთხილება: სალგადო, კონსეისაო, პუიოლი

ბონანო, პუიოლი, ფ. დე ბური, აბელარდო, კოკო (ოვერმარსი 46), ხავი, როჩემბაკი (ჯოვანი 67), კოკუ (სერხი 75), ლუის ენრიკე, კლუივერტი, საველა
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი


REUTERS
სავიოლამ, კლუივერტმა და ლუის ენრიკემ კონსეისაო და მაკელელე ჰყლიტეს, ჰყლიტეს, ვერ გაჰყლიტეს

## მადრიდი ეტამ და სიხარულმაააფეთქა

### ბარსელონამ ნუგეში მანჩესტერში იპოვა




*ჩვიდმეტი დაჭრილი ტკივილს უძალიანდებოდა, მათი ახლობლები ნერვიულობდნენ, „რაიო ვალეკანოსა“ და „ატლეტიკოს“ ქომაგებისთვის სულ ერთი იყო, მადრიდის დანარჩენი მოსახლეობა კი „ბარსელონას“ ძლევას ზეიმობდა. ათას ქომაგზე მეტი სიბელესის მოედანზე შეიკრიბა და ღრიალით გული იჯერა, ზოგიერთები მანქანებს დააქროლებდნენ ქუჩებში და „რაიოს“ და „ატლეტიკოს“ ქომაგებს განუწყვეტელი სიგნალებით ძილს უფრთხობდნენ, უმრავლესობა კი შინაურულად აღნიშნავდა ამ ამბავს, რაკილა თავში ნახსენები ჩვიდმეტი კაცის ბედის გაზიარების ეშინოდა — მოგეხსენებათ, მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ბასკმა ტერორისტებმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ მახლობლად, ორასიოდე მეტრში, ბომბი ააფეთქეს და ცალკე პოლიციას, ცალკე კი უეფას თავსატეხი გაუჩინეს. აკი მატჩის ჩატარების საკითხი დაწყებამდე 45 წუთით ადრე გადაწყდა.*

**რა მიხვედრა უნდა**, რომ სწრაფი გოლის მოსურნე „ბარსელონა“ პიერლუიჯი კოლინას ჩასტვენისთანავე შტურმის მოწყობას ეცდებოდა. ისიც იოლი გამოსაცნობი იყო, რომ „რეალიც“ მზად გახლდათ ამისთვის და მეტოქის იერიშების ალსაკვეთად საუკეთესო გზას აირჩევდა — იქით შეუტევდა, რისი რამდენიმე, თუმც უშედეგო მცდელობა ჰქონდა კიდეც. ამგვარი სასტარტო განწყობის ფონზე თამაშმა, თითქოს მეტოქენი ერთმანეთს არ იცნობდნენო, დაზვერვის სახე მიიღო, რაც დაახლოებით მეოცე წუთამდე გაგრძელდა.

პირველი მართლაც სახიფათო მომენტი ზინედინ ზიდანმა შექმნა, სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი თავისებურად მოათვინიერა, დარტყმა კი წაუხდა, კარს ოდნავ ააცილა. ათიოდ წუთში რაულმა და გუტიმ წამოიწყეს ხეირიანი კონტრიერიში, მაგრამ მარჯვნიდან გაჭრილმა გუტიმ იმდენი მოახერხა, ბურთი პირდაპირ რობერტო ბონანოს დაუმიზნა. თითქმის მაშინვე რაულმაც მოიქნია, თუმც სუსტად გამოუვიდა და ბურთი კატალონიელთა არგენტინელი მეკარის იოლი ლუკმა გახდა.

ხოლო „ბარსელონა“ რივალდოს არყოფნაში ერთფეროვნად უტევდა, რის გამოც მის იერიშებს სიმწვავე აკლდა. ერთი ეპიზოდი კი მართლაც სახიფათო გამოუვიდა. 38-ე წუთზე როჩემბაკის დარტყმული ძელმა აისხლიტა და ბურთი მადრიდელთა მეკარე სესარისკენ გაფრინდა, ამ უკანასკნელმაც დაჭერა ვერ შეძლო და დაკარგული ბურთისთვის პატრიკ კლუივერტთან მოუხდა შებმა. საბოლოოდ სესარმა იმარჯვა, რაც ჰოლანდიელი ფორვარდის ქაცვებით სახის გაგლეჯვად დაუჯდა და ბლომად სისხლიც დაღვარა.

სისხლმა გახელების ნაცვლად თამაში ოდნავ დააცხრო, მაგრამ სულ რამდენიმე წუთით. ხავი შეცდა, რაულთან ბრძოლაში ბურთი დაკარგა და მადრიდელმა ჩვიდმეტიოდე მეტრიდან მარჯვენა ცხრიანში ულამაზესად ჩააჭედა. ტაიმის დასრულებას ორი წუთი აკლდა და „ბარსელონამ“ ეს ორი წუთი ვერ გაძლო. თუმც შესვენებამდე ერთი მომენტი კიდევ შეიქმნა. კლუივერტმა მსგავსი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ სესარს ვერ ააცილა.

„პირველი მატჩის მსგავსი ვითარება გამეორდა — თქვა ნამატჩევს კარლოს რექსაჩმა — პირველ ტაიმში ბლომად სახიფათო მომენტები შევქმენით, ძელსაც გავარტყით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი მოვიმკეთ. ხოლო „რეალს“ ერთი მომენტი ჰქონდა და ისიც გამოიყენა. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ გოლი მართლაც ბრწყინვალე იყო“.

ვისენტე დელ ბოსკემ კი განაცხადა: „რაულის გოლის მერე ჩვენ უკვე საბურთიან უპირატესობას ვფლობდით, რის გამოც მეორე ტაიმში უფრო მეტად არგაშვებაზე ვზრუნავდით. ცხადია, ამის გამო „რეალის“ თამაში ნაკლებ შთამბეჭდავი იყო. ისე კი, „რეალის“ ნამდვილი სახე მეოთხედფინალში, „ბაიერნთან“ საპასუხო მატჩისას დაგანახეთ — როცა გოლი გვჭირდება, სხვანაირად ვთამაშობთ“.

მართლაც, შესვენების მერე ბურთს მეტწილად სტუმრები ფლობდნენ და შედეგი, მათდა სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი, თამაშის განახლებისთანავე მოიმკეს. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ხავიერ სავიოლამ მიმართულება უცვალა, ივან ელგერამ კი საკუთარი კარი დალაშქრა.

ამან „ბარსელონას“ კვლავ გაუჩინა მატჩის გადარჩენის იმედი და ერთხანს მადრიდელთა ნახევარს არ მოსცილებია. მიზანთან ძალიან ახლოს იყო განთქმული მოთავურე აბელარდო, რომელმაც კუთხურიდან ჩაკიდებული ბურთი ოდნავ აცილა მიზანს.

ამის მერე „რეალმა“ მეტოქის საგოლე შემართების რამდენადმე ჩაცხრობა მოახერხა. ამასთანავე დელ ბოსკემ, რაკი ფინალის სურნელი იგრძნო, მეორე ტაიმში გუნდი უზიდანოდ ათამაშა — თან დაასვენა, თანაც თავი დაიზღვია, ზიდანს ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდა.

„ბარსელონას“ კი იმედი არა და არ ეთმობოდა და სესარის კარზე გასალების მორგებას ჯიუტად ლამობდა. კვლავ კლუივერტი გამოირჩეოდა, რომელმაც ერთ ეპიზოდში ჭკვიანურად შეაფასა მადრიდელთა საჯარიმოში შექმნილი ვითარება და ბურთი ლუის ენრიკეს დაუგორა. ამან კი, ვაგლახ, ააცილა. მერე ჰოლანდიელსაც წაუხდა მიზანი, როცა საჯარიმოს შიგნიდან სცადა ფონს გასვლა. ბოლო შანსი კი 87-ე წუთზე შეცვლაზე შესულ ჯოვანის მიეცა და სიზუსტემ მასაც უმტყუნა. „ბარსა“ ბოლო წუთებში უფრო ინერციით უტევდა, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტი გვარიანად დაუვარდა.

ამრიგად, 15 მაისს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ ჩემპიონთა თასისთვის „რეალი“ და „ლევერკუზენი“ შეერკინებიან. მოგეხსენებათ, საუკუნოვან მადრიდულ კლუბს ეს ჯილდო რვაჯერ აქვს მოგებული, ხოლო 98 წლის „ბაიერ 04 ლევერკუზენს“, რომელიც ზოგიერთ საფეხბურთო ცნობარში არა პაწაწინა ლევერკუზენის, არამედ, კიოლნის გარეუბნის გუნდადაც მოიხსენიება, ბუნდესჩემპიონობაც არასდროს ღირსებია.

რაულმა „ლევერკუზენზე“ თქვა: „ვინც ამ გუნდის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაში ნახა, მისი ფინალში გასვლის სამართლიანობაში ეჭვი არ შეეპარება. „ბაიერის“ რამდენიმე ფეხბურთელის მსოფლიო დონის ვარსკვლავად მოხსენიებაც შეიძლება და გარწმუნებთ, დიდებული ფინალი იქნება. ფინალში არც ჩვენ გავსულვართ დაუმსახურებლად. მართალია, „ბარსელონასთან“ უმძიმესი მატჩი გვქონდა, მაგრამ მონდომებით და ქომაგთა მხარდაჭერით სასურველ შედეგს მივაღწიეთ“.

ვისენტე დელ ბოსკემ კი „ლევერკუზენთან“ წინა სეზონის შეხვედრები გაიხსენა: „მაშინ ორივე თამაში მოვიგეთ, მაგრამ ეს იოლი გამარჯვებები არ ყოფილა. ამასთანავე „ბაიერი“ ახლა ბევრად ძლიერია. მას ჰყავს მოთამაშეები, რომლებიც მოედანზე არასტანდარტულად აზროვნებენ და შესაბამისად, ძალიან სახიფათონი არიან“.

შეგახსენებთ, რომ წინა ლიგაში „რეალი“ და „ბაიერი“ პირველ ჯგუფურ ეტაპზე გადაეყარნენ ერთმანეთს. ლევერკუზენში მატჩი 2:3 დამთავრდა, ხოლო მადრიდში — 5:3. ასევე გავიხსენოთ, რომ გერმანელებს მაშინ კრისტოფ დაუმი წვრთნიდა.

კარლოს რექსაჩს კი ფინალზე სალაპარაკო არაფერი აქვს და საკუთარი თავის ნუგეშის გარდა არაფერი დარჩენია: „პირველი მატჩის მერეც ვთქვი და ვიმეორებ, „ბარსელონა“ დამარცხებას არ იმსახურებდა, ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს. რივალდოს არყოფნაც გასათვალისწინებელია, ის ხომ უდიდესი ძალაა გუნდისთვის. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, „რეალს“ რაული რომ არ ჰყოლოდა. ამასთანავე „ბარსელონას“ დონის გრანდისგან ყოველწლიურად ყველაფრის მოგებას ითხოვენ, არადა, წლიდან წლამდე თუნდაც ერთი ჯილდოს მოპოვება სულ უფრო და უფრო ძნელდება. ეს ტენდენცია მიმდინარე სეზონშიც დამტკიცდა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ბაიერნი“ ხომ ჩვენებრ უთასებოდ დარჩნენ“.

**გიორგი დარჯანია**



რაულის გოლი რექსაჩმაც აღიარა


REUTERS
ფერნანდო იერომ გრძივი შპაგატი გაჭიმა

ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია ეფენბერგის წინააღმდეგ

**მეორე სერია**

ჟურნალისტებმა ეფენბერგის მთელი საფეხბურთო კარიერა გადაქექეს და ამოატივტივეს ყველა სკანდალი, რაც კი მას თავს გადახდენია


შტეფან ეფენბერგი სასამართლოს ხშირი სტუმარია






## შევედით ტუალეტში და რას ვხედავთ, ეფენბერგის...

„ეფეს“ პირველი „ტკბილი“ მოგონება 1987 წლით თარიღდება, ერთ-ერთ სასტუმროში შეკრებაზე მყოფმა „მიონხენგლადბახის“ ყოფილმა ფეხბურთელმა „ნადირობა“ გადაწყვიტა და ტირის თოფით სასტუმროს ნათურებს დაერია. სამი წლის მერე, „ბაიერნის“ თავკაც იუპ ჰაინკესთან შეკამათება ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადაეზარდა. 1992 წელს „ფიორენტინაში“ ყოფნისას, თანაგუნდელ ბრაიან ლაუდრუპის ახალთახალ „მერსედესს“ პატრონის დაუკითხავად მოაჯდა და კარგა ხნით გაუჩინარდა. ორი წლის შემდეგ ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ კორეასთან მატჩისას შეცვლილმა ეფენბერგმა ქომაგებს ორჯერ შუა თითი დაანახა, რის გამოც ბუნდესნაკრების მაშინდელმა თავკაცმა ბერტი ფოგტსმა ნაკრებიდან მოკვეთა და შუა ჩემპიონატიდან სახლში გაუშვა. ამ ამბიდან რვა თვეც არ იყო გასული, რომ ეფენბერგის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღიძრა - ფეხბურთელს კიოლნის ერთ-ერთ დისკოთეკაზე მავანი შემოელახა, თუმცა მოწმეების ჩვენებამ „ეფე“ ამ ჭუჭყიანი საქმიდან სუფთა გამოიყვანა. შტეფანმა იგივე 1996 წელსაც, თავისი მეუღლის თვალწინაც გაიმეორა, თუმცა მაშინაც იოლად გამოძვრა, ეგაა, სასამართლო პროცესი თითქმის წელი გაგრძელდა და სულ ახალი დასრულებული იყო, ახალი გმირობით რომ გამოიჩინა თავი — ვაჟის, ნოელ-ეტიენის დამჩაგრავ თანაკლასელს ყური აახია. 1998-ში პოლიციამ საჭესთან ნასვამი დააკავა, ორგანიზმში დასაშვებზე საკმაოდ მეტი, 1,07 პრომილი ალკოჰოლი აღმოაჩნდა. მისი შემდეგი „ვაჟკაცობა“ ბუნებრივი მოთხოვნილების ქალთა ტუალეტში დაკმაყოფილება გახდა — ბერლინში, სასტუმრო „ადლონის“ საპირფარეშოში შესული ორი 23 წლის გოგო მოულოდნელად შარვალჩახდილ ცნობილ ფეხბურთელს გადააწყდა. იმავე წელს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმე სასამართლომდე მივიდა, თუმცა კვლავ მშრალად გამოვიდა. 2000 წელს კი დისკო-ბარში შესვლა 170 ათასი მარკა დაუჯდა, სწორედ ამ თანხით გამდიდრდა მავანი კლაუდია, რომელსაც ბარში წითელი ტყავის შარვლითა და კოვბოის მოსასხამში მისულმა ეფენბერგმა კაი გემრიელი სილა გააწნა. ახლა კი ეს უმუშევრების ამბავი... ასე რომ, თავადაც ხედავთ, ეფენბერგის ცხოვრება უხვადაა გაჯერებული სკანდალური ფაქტებით და მისი ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება დარწმუნებითაც ითქვას, არც ესაა ბოლო.

გარდა ამისა, ცალკე ფეხბურთელსა და ცალკე მის მეუღლეს ადევნებულმა პაპარაცებმა კიდევ ერთი ახალი ამბავი შეიტყვეს. შტეფანის მეუღლე მარტინა, თურმე იმაზე მეტ დროს ატარებს ერთ-ერთი პრესტიჟული მიუნხენური დისკოს მეპატრონე კონსტანტინ ვილთან, ვიდრე „საჭიროა“. თუმცა „ეფემაც“, მარტინამაც და ვილმაც განაცხადეს, რალაცეებს ნუ გვიგონებთო (ეს ამბავი ადრეც გვეწერა).


შტეფანი მხოლოდ მარტინას ბაგეს ეწაფება


ეფენბერგი მზრუნველი მამაა: ვაჟის დამჩაგრავს ყური აახია



დედა ეფენბერგი, მამა ეფენბერგი და დები ეფენბერგები

## შტეფანი „ბაიერნიდან“ ისე უნდა წავიდეს, როგორც დაიმსახურა




ისევ საფეხბურთო საქმეებს დავუბრუნდეთ. ბევრი ელოდა, რომ შერისხულ კერპს ბავარიელთა მწვრთნელი „ვოლფსბურგთან“ ბოლოსწინა ტურის მატჩში შემადგენლობაში დააბრუნებდა, თუმცა ასე არ მოხდა. „ეფესაც“ სხვა რაღა დარჩენოდა და ახალი კლუბის ძებნას მეტი მონდომებით შეუდგა (ადრე მის მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასვლაზე იყო ლაპარაკი). მსურველი, ცხადია, უმალ გამოჩნდა, ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ“, ისევ პრემიერლიგას რომ უბრუნდება, გერმანელი ნახევარმცველის გადაბირების სურვილი გამოთქვა და ქისასაც თავი მოხსნა. „მე სახელიანი ფეხბურთელი მჭირდება“ —თქვა გუნდის თავკაცმა კევინ კიგანმა და კლუბის თავმჯდომარისგან დასტური და ფული მიიღო. „ეფეს“ ორწლიანი კონტრაქტი და წლიური 3,4 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ მაშინ, როცა ბევრს საქმე მოკვარახჭინებული ეგონა, ფეხბურთელმა ინგლისელებს უარი შეუთვალა, თუმცა მიზეზი აღარ დაუკონკრეტებია.

ახლა კი 33 წლის გერმანელის შეძენა ბერნდ შუსტერის „ხერესს“ (ესპანეთის სეგუნდადივიზიონში და პრიმერაში აღზევების კარგი შანსი აქვს), ლონდონის „ჩელსის“ და სტამბოლის „გალათასარაის“ სურთ, თუმც როგორც ვარაუდობენ, სამივე ამაოდ შვრება. ხოლო ვიდრე ეფენბერგი ახალ კლუბში გადავა, „ბაიერნს“ უნდა დაემშვიდობოს.

ჰიცფელდმა ორშაბათს ფეხბურთელის გუნდში დაბრუნება გადაწყვიტა. „იგი „ბაიერნიდან“ ისე უნდა წავიდეს, როგორც დაიმსახურა“ — ასე ახსნა გადაწყვეტილება მწვრთნელმა. ბავარიელთა მეკარე ოლივერ კანმა შეფს კვერი დაუკრა: „ეფემ“ „ბაიერნის“ უწარუმატებულესი ერა შექმნა. მას ჩუმად წასვლა არ დაუმსახურებია. კარგია, რომ ჰიცფელდმა დააბრუნა და ბოლო ტურში თამაშის უფლება მისცა. მგონია, რომ იგი „ბაიერნს“ ასე უბრალოდ არ დაემშვიდობება, შაბათს ნაღდად რაღაც ძალიან დიდი მოხდება“. კანის ამ ნათქვამიდან ჩანს, რომ მიუნხენელებს ჩემპიონობის იმედი არ დაუკარგავთ.

თავად შტეფან ეფენბერგი კი ამბობს: „ნათქვამის გადათქმას სულაც არ ვაპირებ, მინდა ყველამ იცოდეს, რომ სარკის წინ დგომის და საკუთარი თავის შეხედვის არ მრცხვენია, რადგან ცხოვრებაში არ ჩამიდენია და არ მითქვამს ისეთი რამ, მოგვიანებით მენანოს. „პლეიბოიში“ რაც დაიწერა, არც მაგას ვნანობ, რადგან ისევ იმ აზრზე ვარ, უბრალოდ მინდა დავაზუსტო, რაც ვიგულისხმე. ჩემი სიტყვები მხოლოდ იმათ ეხებათ, ვინც სამსახურის საშოვნელად ადგილიდან არ იძვრის. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ამას გულით ვამბობ და არა აჟიოტაჟის ჩასაცხრობად.“

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## მასპინძელი ქვეყნები: კორეა იაპონია



# კომბოსტოს მწნილი მიწაში ცოცხალი ცოცხლად

*21-ე საუკუნის პირველი, მთავარი საფეხბურთო ფორუმი ამომავალი მზისკენ გადაიხარა. ქვეყნებს, სადაც ოთხწლეულის ყველაზე მიმზიდველი ბურთაობა გაჩაღდება, აზიაში აღლუმი მიჰყავთ. ერთი, იაპონიაა, კუნძულთა სამფლობელო, მეორე, სამხრეთ კორეა, ნახევრკუნძულია, ფეხბურთი კი ის თამაშია, ზღვას და ხმელეთსაც რომ გააერთიანებს. ადათ-წესები და ისტორიული ფრაგმენტები მუნდიალის მასპინძელი ხალხისა მთლად უინტერესო არ უნდა იყოს. ამიტომ, დღეს და ხვალ, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში მოკლე ექსკურსიას გთავაზობთ. თუ კი მკითხველთაგან რომელიმე ბედნიერს აზიაში გამგზავრების პერსპექტივა უღიმის, ეგებ ჩვენი მონათხრობი გამოადგეს კიდეც რამეში.*




**მსოფლიოს ჩემპიონატი** გაზაფხულივით მოიპარება. ფეხბურთის ქომაგებს სანუკვარ დღესასწაულზე ამჯერად აზია, კერძოდ კი კორეა-იაპონია მიიპატიჟებს. თუ იაპონია ამომავალი მზის ქვეყნად არის მონათლული, არც კორეაა იმავე მზის სხივებისგან მივიწყებული. მერე რა, რომ თავის დროზე იაპონელები კორეელებზე ბატონობდნენ. 1937 წელს მავანმა იაპონელმა გენერალ-გუბერნატორმა კორეაში მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებაც კი აკრძალა.

მერე, როცა აშშ-მ და საბჭოთა მძლეძმურმა კავშირმა იაპონია გაბღლვნეს, ჩრდილო და სამხრეთ კორეაც გაინაწილეს.

სამხრეთი ამერიკელებს ერგოთ. 1954 წელს აშშ-მ და კორეამ ერთობლივი თავდაცვის აქტს მოაწერეს ხელი, დღეს კი იქ 37 ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა. ჩრდილოელებს, რომლებიც კომუნისტური ქუდის ქვეშ გაერთიანდნენ, სწორედ ეს ფაქტი მიაჩნიათ მიზეზად სამხრეთელებთან შუღლისა. მიუხედავად ამისა, 2000 წელს ორი ქვეყნის პრეზიდენტი მაინც შეხვდა ერთმანეთს, თუმცა პოლიტიკური რუკიდან ვერ წაშალეს 38-ე პარალელი, რომელიც ჩრდილოეთს და სამხრეთს ჰყოფს.

სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის კი ურთიერთობების დათბობა 1965 წლიდან დაიწყო. ახლა კი, როგორც ხედავთ, ერთად გაუშლიათ სამუნდიალო სუფრა.

სუფრას მივყვეთ. თუ სამხრეთ კორეაში სრულიად შემთხვევით (ან შეგნებულად) მოხვდით, იკითხეთ კიმ-ჩი, რომლის რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს. ის ჩვენებურ კომბოსტოს მწნილს წააგავს, ოღონდ ცხარეზე ცხარეა. კომბოსტო ჩინურია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. კორეელებს კომბოსტო ჩინეთიდან ჩააქვთ, ზედ მოაყრიან წითელ წიწაკას, ხახვს, ნიორს და სტაფილოს. მთელ ამ მასას მოათავსებენ თიხის ქოთანში და მიწაში მარხავენ. ერთი თვის შემდეგ მიწიდან ამოღებული დამწნილებული კომბოსტო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საჭმელია კორეაში.

საერთოდ ნიორს კორეელი მზარეულები თითქმის ყველა საკვებში იყენებენ, მათ შორის უამრავ წვნიანში, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბრინჯით ან თევზით მზადდება. თევზეულს მუნდიალის მასპინძლები შეუმწვარ-მოუხარშავსაც სიამოვნებით მიირთმევენ.

თეფშები კორეაში უმეტესად თევზეულისთვის, ხილისთვის და ტკბილეულისთვის გამოიყენება, დანა-ჩანგალი კი მათთვის ჩხირებია.

სამხრეთ კორეაში კერძების მსგავსად რელიგიის მრავალფეროვნებაცაა. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტი ქრისტიანია, მათ შორის კათოლიკეები, პროტესტანტები და სხვანი. 20 მილიონამდე კორეელი აღმერთებს ბუდას, ასევე მოიძებნებიან ჩონდოგოს მიმდევარნიც. ჩონდოგო უფრო ტრადიციაა, ვიდრე რელიგია. ეს გახლავთ კონფუცის, ბუდიზმის, დაოსიზმის და კათოლიციზმის ერთგვარი სინთეზი.

ჩონდოგოს ქადაგებდა ვინმე ჩო ჩეუ, რომელმაც თავი წინასწარმეტყველად, შემდეგ კი ღმერთის მოციქულად გაასაღა. 1863 წელს ჩო ჩეუ, როგორც ერეტიკოსი, სიკვდილით დასაჯეს.

ადათ-წესების თანახმად, მომაკვდავის სიცოცხლესთან გამოსალმების თავისებური რიტუალი არსებობს კორეაში. მომაკვდავთან უნდა მივიდეს მამაკაცი, რომელმაც მას ენა უნდა გაუჭიმოს. სანამ გარდაცვლილს კუბოში ჩაასვენებენ, ჯერ ტკბილეულს ჩაყრიან, მერე თეთრ ნაჭერზე დაასვენებენ. 5-7 დღის შემდეგ ახლობელ-ნათესავები გარდაცვლილს მიწას მიაბარებენ.

კორეელებს ძალიან უყვართ (ვის არ უყვარს) ცეკვა-თამაში და მუსიკა. რელიგია და ფილოსოფია მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობს. ფოლკლორში ისინი უმეტესად ბუნებას ეთაყვანებიან. ოდესღაც სამხრეთკორეელებს დონგჯის უწოდებდნენ. რა არის დონგჯი? ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას სწამს, რომ დონგჯი ახალი წლის დასაწყისია იმიტომ, რომ დღე დიდდება. დონგჯი ერთ-ერთი უმთავრესი ზეიმის მიზეზი იყო. ამ ზეიმზე კორეელები ერთმანეთს კალენდრებს ჩუქნიდნენ, რაც საბოლოოდ ტრადიციადაც იქცა.

საერთოდ კორეის, ისევე როგორც იაპონიის, კულტურაზე და ხელოვნებაზე დიდად იმოქმედა ჩინეთმა. ჩინეთის იმპერატორის, ვუ ტის მმართველობის ხანაში კორეა ამჟამინდელი მეზობლების უდიდესი გავლენის ქვეშ მოექცა.

როცა იაპონიამ 1910 წელს კორეა მიითვისა, თავიდან კორეელები იგივე უფლებებით სარგებლობდნენ, რითაც იაპონელები. მერე იაპონიამ ჩინელებთან ომი წამოიწყო. კორეას ეს უდიდეს ტვირთად დააწვა, თუმც იაპონელთა მმართველობას დადებითი შედეგებიც მოჰყვა. ქვეყანაში გაიყვანეს საავტომობილო გზები, რკინიგზა, მოწესრიგდა ელექრიფიკაციაც, რომლის პრობლემა ჩვენ 21-ე საუკუნეშიც გვწეწავს.

იაპონელთა უღლისგან კორეის ნახევარკუნძული 1945 წლის 15 ივნისს გათავისუფლდა. 1950 წლის 25 ივნისს ჩრდილო-კომუნისტურმა კორეამ საბჭოთა ჯარებთან ერთად სამხერთელთა ანექსირება სცადა, რაც სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამან სამხრეთი ნაწილის ეკონომიკაში ქაოსი გამოიწვია.

1961-ში გენერალმა კარკმა ხალხის მიერ არჩეული ჩან მიონის მთავრობა ჩამოაგდო. მან თქვა, ახლებურად უნდა ვიცხოვროთ, ისე როგორც სამხრეთკორეელი ხალხი იმსახურებსო. კორეაში აქცენტი ხარისხზე და საექსპორტო პროდუქციაზე გააკეთეს, რამაც საბოლოოდ კიდეც გაამართლა. გენერლის ვარაუდით, კარგად განსწავლული კადრები და ფინანსურად დაინტერესებული მშრომელები შეძლებდნენ ისეთი პროდუქციის შექმნას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა. იგი არც შემცდარა, მალე ქვეყანამ ვალები გაისტუმრა, თან უამრავი სამუშაო ადგილიც შეიქმნა.

ეფექტი წინსვლისა ჩრდილოელ კომუნისტურ მეზობელთან შედარებით საუცხოო იყო. აზიაში ხომ ერთ-ერთი ლიდერია ეკონომიკის წინსვლით და წამყვან ევროპულ ქვეყნებსაც არაფრით ჩამორჩება. საინტერესოა, რომ სამხრეთ კორეაში სამუშაო დღე 12-13 საათით განისაზღვრება. მხოლოდ საქმისადმი ასეთი მიდგომით შეძლეს უდიდესი ნახტომის გაკეთება.

90-იანი წლების დასაწყისში კორეამ ხარისხიანი ელექტროსაქონლის წარმოება დაიწყო და მალე ბაზარიც დაიპყრო. რამდენიმე წელიწადში მოგებამ 23 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებელმა სამხრეთ კორეა ექვს ყველაზე უდიდეს მწარმოებელთა შორის შეიყვანა. ისეთმა ფირმებმა, როგორებიცაა „სამსუნგი“ და LG, ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოვებლად ერთობლივი საწარმოების შექმნა დაიწყეს. მათი ქარხნები ამუშავდნენ თურქეთში და ირლანდიაში.

გვერდს ვერ აუვლით ავტომანქანებსაც. მათ წარმოებაზე თვით სახელმწიფოს უმკაცრესი კონტროლი იყო დაწესებული. 80-იანებში ერთადერთი კომპანია, რომელიც გაფართოებული უფლებებით სარგებლობდა, „ჰიუნდაი“ იყო. 1989-ში „კია მოტორსი“, „დეუ“ და ასევე „სან იონ მოტორსიც“ გავიდნენ ბაზარზე. ცხადია, ამ ავტომობილებს სათადარიგო ნაწილებიც სჭირდებოდა, რომელთა წარმოებამაც ასევე აიღო გეზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მთლიანად, მრავალი პროდუქციის წარმოებაში სამხრეთ კორეის უმთავრესი პარტნიორები არიან აშშ, იაპონია, ჩინეთი და ტაივანი. დღეს კორეაში 47 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგანაც 22 მილიონი მუშაობს, ხოლო უმუშევარია დაახლოებით 6 პროცენტი, ბიუჯეტი კი 70 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ისე, რა მოსატანია, მაგრამ ბიუჯეტზე გამახსენდა, საქართველოში მიმდინარე კვარტლის გეგმა შესრულდება? ხანდახან კორეელობასაც კი ინატრებს კაცი, ჰა?

**ვაჟა ხუციშვილი**



სეოგვიპო: აქ ბრაზილია ჩინეთს შეერკინება

# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური

4 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | მიონხენგლადბახი-მიუნხენი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.30 | 002 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 18.30 | 004 | ზტ. პაული-ნიურნბერგი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 18.30 | 006 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.30 | 007 | კოტბუსი-კიოლნი | 1,65 | 3,5 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,9 |
| 18.30 | 008 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 18.30 | 009 | ბაიერნი-ჰანზა | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური

5 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | კარლსრუე-უნტერჰახინგი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 011 | ზაარბრიუკენი-როიტლინგენი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 18.00 | 012 | აინტრახტი-ბაბელსბერგი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 013 | არმინია-ალენი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 18.00 | 014 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 18.00 | 015 | ფიურტი-ჰანოვერი | 1,8 | 3,2 | 3,5 | 1,1 | 1,15 | 1,65 |
| 18.00 | 016 | უნიონი-მაინცი | 3,3 | 2,6 | 2,2 | 1,4 | 1,3 | 1,15 |
| 18.00 | 017 | ალემანია-ბოხუმი | 4,2 | 3,8 | 1,5 | 1,95 | 1,1 | 1,05 |
| 18.00 | 018 | შვაინფურტი-ვალდჰოფი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 1,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | | | | |
| 22.30 | 023 | დიუსელდორფი-ბრაუნშვაიგი | 4,4 | 3,5 | 1,5 | 1,9 | 1,1 | 1 |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 024 | კელი-აუე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 025 | ქემნიცი-ოსნაბრიუკი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 17.00 | 027 | მიუნსტერი-ვატენშაიდი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 17.00 | 028 | ლიუბეკი-ურდინგენი | 1,55 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 029 | დრეზდენი-მაგდებურგი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 18.00 | 030 | ვერდერი (მ)-ლევერკუზენი (მ) | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.00 | 031 | პადერბორნი-ესენი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | | | | |
| 22.30 | 038 | დარმშტადტი-ზიგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.30 | 034 | ტრირი-შტუტგარტი (მ) | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,65 |
| 23.00 | 035 | ბურგჰაუზენი-ფულდა | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,65 |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 17.30 | 036 | ვეჰენი-ოფენბახი | 1,6 | 3,4 | 4,4 | 1,05 | 1,15 | 1,9 |
| 18.00 | 039 | აალენი-მანჰაიმი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 040 | ბაიერნი (მ)-კიკერსი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი.

5 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 042 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

### პლეი-ოფი. ფინალი. (კარდიფში)

6 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 049 | ჩელტენემი-რაშდენი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური

4 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 050 | გენგამი-ტრუა | 1,5 | 3,5 | 4,0 | 1 | 1,05 | 1,85 |
| 23.00 | 051 | სოშო-მონაკო | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 23.00 | 052 | ლილი-პსჟ | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 053 | მეცი-ლორიანი | 1,65 | 3,4 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,85 |
| 23.00 | 054 | სედანი-ბასტია | 1,8 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 055 | ნანტი-ბორდო | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 23.00 | 056 | ლიონი-ლანსი | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 057 | ოსერი-რენი | 1,1 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.00 | 058 | მარსელი-მონპელიე(ნეიტრ.) | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური

3 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 059 | სტრასბური-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 060 | ისტრი-სტ. ეტიენი | 2,5 | 2,6 | 2,9 | 1,25 | 1,3 | 1,35 |
| 23.00 | 061 | შატორუ-ვალკვალი | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 062 | ნიორი-მარტიგი | 1,6 | 2,9 | 6,0 | 1 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 063 | ნანსი-აიაჩო | 2,6 | 2,7 | 2,7 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 23.00 | 064 | კაენი-გრენობლი | 1,6 | 2,9 | 6,0 | 1 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 065 | ნიმი-გენიონი | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 066 | ბოვე-ამიენი | 1,85 | 2,8 | 4,4 | 1,1 | 1,3 | 1,7 |
| 23.00 | 067 | კრეტეი-ლე მანი | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 068 | ლავალი-ნიცა | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |

### იტალია. სერია „ა". XXXIV უტრი.

5 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 069 | ბრეშა-ბოლონია | 1,7 | 3,6 | 2,8 | 1,1 | 1,05 | 1,55 |
| 18.00 | 070 | კიევო-ატალანტა | 1,25 | 3,5 | 6,5 | 1 | 1 | 2,25 |
| 18.00 | 071 | ლაციო-ინტერი | 4,0 | 3,4 | 1,5 | 1,8 | 1,05 | 1 |
| 18.00 | 072 | მილანი-ლეჩე | 1,02 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 18.00 | 073 | პარმა-ვენეცია | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 074 | პერუჯა-ფიორენტინა | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 18.00 | 075 | პიაჩენცა-ვერონა | 2,0 | 2,3 | 4,0 | 1,05 | 1,3 | 1,45 |
| 18.00 | 076 | ტორინო-რომა | 5,6 | 4,0 | 1,3 | 2,3 | 1,05 | 1 |
| 18.00 | 077 | უდინეზე-იუვენტუსი | 8,0 | 4,0 | 1,1 | 2,65 | 1 | 1 |

### იტალია. სერია „ბ". XXXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | | | | |
| 23.45 | 079 | ჩიტადელა-მოდენა | 2,7 | 2,8 | 2,4 | 1,35 | 1,25 | 1,25 |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 23.45 | 078 | კალიარი-კომო | 2,8 | 1,8 | 3,4 | 1 | 1,5 | 1,15 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 080 | პისტოიეზე-ანკონა | 2,2 | 3,0 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,45 |
| 18.00 | 081 | ბარი-კოზენცა | 2,0 | 1,8 | 5,6 | 1 | 1,45 | 1,35 |
| 18.00 | 082 | კროტონე-ჯენოა | 3,4 | 2,5 | 2,3 | 1,4 | 1,35 | 1,1 |
| 18.00 | 083 | სამპდორია-მესინა | 1,75 | 2,7 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 084 | რეჯინა-სიენა | 1,5 | 3,1 | 6,0 | 1 | 1,2 | 2 |
| 18.00 | 085 | სალერნიტანა-ტერნანა | 1,9 | 2,9 | 3,0 | 1,1 | 1,15 | 1,45 |
| 18.00 | 086 | ემპოლი-ვიჩენცა | 1,4 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 18.00 | 087 | პალერმო-ნაპოლი | 3,4 | 3,0 | 1,8 | 1,55 | 1,15 | 1,1 |

### იტალია. სერია „ც1-ა". XXXIV ტური

5 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 088 | ლივორნო-ალძანო | 1,01 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 19.00 | 089 | სპალ-არეცო | 1,75 | 2,8 | 4,0 | 1,05 | 1,2 | 1,6 |
„როდესაც „იუნაიტედმა" ანგარიში გახსნა, ვიფიქრე, მეორესაც მიაყოლებსმეთქი, მაგრამ პირველ ტაიმში იღბალმა აქცია ზურგი. მათ ჰქონდათ ორი-სამი მომენტი, რომელთა გამოყენების შემთხვევაში თამაშს [illegible], თუმცა გოლი „ლევერკუზენმა" [illegible]. საერთოდ კი ის მინდა ვთქვა, რომ „ლევერკუზენს" ამ სეზონში წარმოუდგენლად გაუმართლა. გახსოვთ ჩვენთან რომ თამაშობდნენ, 0:1-ს აგებდნენ, მაგრამ ჩვენ ფეხბურთელი გაგვიძევეს და ბოლო წუთზე გაგვითანაბრეს კიდეც".

სანამ ფერგიუსონი და ვენგერი კეჭნაობენ, გავიხსენოთ, რომ მალე, ამ კვირაში, მათი გუნდები „ოლდ ტრეფორდზე" დაეჭიდებიან ერთმანეთს. მოგეხსენებათ, „არსენალსა" და „მანჩესტერს" შორის სხვაობა ოთხი ქულაა, პრემიერლიგაში კი დარჩენილია ორი ტური.

„ვფიქრობ, „მანჩესტერ იუნაიტედი" დიდ თამაშს შემოგვთავაზებს, რადგან ევროპული შეჯიბრებიდან გამოთიშვა მათზე უთუოდ იმოქმედებდა... ოღონდ კარგად თუ ცუდად, კაცმა არ იცის. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მეტოქის უძლიერესი თამაშისთვის განვეწყობით".

შემდეგ, ვენგერს ჰკითხეს, სეზონის განმავლობაში ვინ უფრო კარგი ფეხბურთი ითამაშა, თქვენ თუ „მანჩესტერმაო".

„ყველა ფიქრობს, რომ მისი ცოლი მსოფლიოში ულამაზესია" — უპასუხა „არსენალის" მწვრთნელმა.

**ბაჩუნა ძიძია**


REUTERS

არსენ ვენგერი ფერგიუსონის ტრაბახს გაუკვირვებია



უმით დემითი „გალათასარაის" მომდევნო თამაშს 15 წლის მერე ნახავს

# დანის ტრიალს თხუთმეტწლიანი მოჰყვა

**თურქ** უმით დემითს 15 წელიწადი მოუწევს ციხეში ჯდომა, ასეთი მკაცრი განაჩენი სტამბოლელმა მოსამართლემ ისქენდერ ტეპებასმა გამოუტანა, და კაცმა რომ თქვას, მსჯავრდებულს გაუმართლა, საქმე ისაა, რომ პროკურორი უმით დემითის ვირის აბანოში 30 წლით ჩასმას ითხოვდა.

განაჩენს და მთლიანად სასამართლო პროცესს გულისყურით ადევნებდა თვალს ინგლისისა და გამორჩეულად ქალაქ ლიდსის მოსახლეობის დიდი ნაწილი და ალბათ, უკვე მიხვდით, რაშიც არის საქმე. უმით დემითი ორი წლის წინ სტამბოლში ორი ლიდსელის — კრისტოფერ ლოფტუსის და კევინ სპეიტის მკვლელობის მთავარი ეჭვმიტანილი გახლდათ. პოლიციამ მკვლელობის დღეს თურქი ორივე ინგლისელის სისხლში გასვრილი დანით დააკავა.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ, „ლიდს იუნაიტედისა" და „გალათასარაის" შორის უეფას თასის მატჩზე დასასწრებად თურქეთში ჩასულ ინგლისელ ქომაგთა ჯგუფსა და ადგილობრივ ფანთა შორის ხელჩართულ ორთაბრძოლაში უამრავი ადამიანი დაზარალდა, ორი კი დაიღუპა.

მთავარი სირთულე, რის გამოც განაჩენის გამოტანა გაჭიანურდა, ის იყო, თუ რა მუხლით გაესამართლებინათ ეჭვმიტანილი, რომლის ადვოკატი მასობრივი ჩხუბის მუხლით გასამართლებას ჩალიჩობდა და ირწმუნებოდა, მასობრივი ჩხუბის წამოწყება ინგლისელი ფანების ინიციატივით მოხდა, ჩემს კლიენტს სულაც არ ჰქონდა განზრახული მათთვის ზიანის მიყენება, უბრალოდ, თავს და ეროვნულ ღირსებას იცავდაო.

„სტამბოლის ცენტრში მათ თურქულ დროშებს მიაყენეს შეურაცხყოფა. შემდეგ გადატეხილი ბოთლებით დაეხეტებოდნენ და საჩხუბრად იწევდნენ" — აცხადებდა ეჭვმიტანილის ადვოკატი. მან ასევე დასძინა, რომ მისი კლიენტი სრულიად შემთხვევით გახდა ჩხუბის მონაწილე, ის საერთო არეულობაში ბიძის გადარჩენას ცდილობდაო.

ხსენებულ სასამართლო პროცესთან ერთად დასრულდა სხვა დაპატიმრებულ თურქთა საქმეების განხილვაც, რომლებიც იმავე დღეს ინგლისელებთან ჩხუბის გამო მოხვდნენ სატუსაღოში. მძიმე დანაშაულში არც ერთ მათგანს არ ედებოდა ბრალი და ახლა მსუბუქი ხულიგნური გამოხტომების გამო ზოგი სამ თვეს, ხოლო ზოგიც ორ-სამ კვირას გაატარებს ციხეში. სულ იმ დღეს დაკავებული 20 თურქიდან 13 უკვე გაათავისუფლეს, ხოლო მთავარ დამნაშავეს ორი კვირის ვადა აქვს, რათა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

**ნიკა შუბლაძე**

## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

#### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

**სან კაეტანო (ბრაზილია) 1:1 დ.დ. (პენ. 4:2, 1:1) უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) (1:1)**
1:0 ბრანდაო (45), 1:1 ნორამბუენა (61)

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:0 ელ ნასიონალი (ეკვადორი) (0:0)**
1:0 კალვო (27), 2:0 დელგადო (35)

**ამერიკა (მექსიკა) 4:1 სიენსიანო (პერუ) (1:0)**
1:0 ნავია (6), 2:0 კასტილიო (25), 2:1 კარტი (47), 3:1 პატინიო (72), 4:1 ნავია (90)


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**


## ავსტრია

### ბუნდესლიგა

XXXIV ტური: ბრეგენცი — აუსტრია 1:4; გრაცერი — კერნტენი 3:0; რაპიდი — ადმირა 3:2; რიდი — ზალცბურგი 0:1; ტიროლი — შტურმი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 34 | 22 | 6 | 6 | 59:17 | 72 |
| შტურმი | 34 | 17 | 11 | 6 | 64:38 | 62 |
| გრაცერი | 34 | 16 | 12 | 6 | 64:37 | 60 |
| აუსტრია | 34 | 13 | 11 | 10 | 51:36 | 50 |
| კერნტენი | 34 | 14 | 7 | 13 | 38:48 | 49 |
| ზალცბურგი | 34 | 12 | 9 | 13 | 40:39 | 45 |
| ბრეგენცი | 34 | 12 | 8 | 14 | 49:65 | 44 |
| რაპიდი | 34 | 10 | 9 | 15 | 33:48 | 39 |
| რიდი | 34 | 7 | 9 | 18 | 33:53 | 30 |
| ადმირა | 34 | 3 | 6 | 25 | 23:73 | 15 |

## დანია

30-ე ტური: აკადემისკი — ოლბორგი 1:0; ოდენსე — ორჰუსი 5:0; ლიუნგბიუ — ესბიერგი 0:2; კოპენჰაგენი — ვაილე 2:1; სილკებორგი — მიდტიულანდი 2:3; ვიბორგი — ბრონდბიუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 30 | 18 | 8 | 4 | 67:26 | 62 |
| კოპენჰაგენი | 30 | 18 | 8 | 4 | 55:21 | 62 |
| ოდენსე | 30 | 13 | 10 | 7 | 51:41 | 49 |
| მიდტიულანდი | 30 | 13 | 9 | 8 | 41:26 | 48 |
| ოლბორგი | 30 | 14 | 6 | 10 | 46:39 | 48 |
| აკადემისკი | 30 | 12 | 11 | 7 | 43:31 | 47 |
| ესბიერგი | 30 | 13 | 5 | 12 | 41:40 | 44 |
| ვიბორგი | 30 | 9 | 11 | 10 | 42:39 | 38 |
| სილკებორგი | 30 | 7 | 7 | 16 | 39:45 | 28 |
| ორჰუსი | 30 | 5 | 10 | 15 | 36:54 | 25 |
| ვაილე | 30 | 5 | 9 | 16 | 34:69 | 24 |
| ლიუნგბიუ | 30 | 2 | 8 | 20 | 23:87 | 14 |

### ამხანაგური მატჩი

**იაპონია 3:3 ჰონდურასი**

0:1 ტურსიოსი (13), 1:1 ნაკამურა (25), 1:2 ბერნანდესი (26), 2:2 ნაკამურა (40), 2:3 ბერნანდესი (45), 3:3 სანტოსი (76)

## ნორვეგია

მე-4 ტური: ბრანი — ვოლერენგა 0:4; ლილესტრიომი — რუსენბორგი 0:1; ლინი — მოლდე 3:1; ოდ გრენლანდი — სტარტი 2:0; სოგნდალი — ბოდიო გლიმტი 0:2; სტაბეკი — ბრინი 2:1; ვიკინგი — მოსი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| ლინი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 9 |
| ვოლერენგა | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| მოლდე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| რუსენბორგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| ვიკინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| სტაბეკი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ლილესტრიომი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| მოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| სტარტი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | 3 |
| სოგნდალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| ბრინი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ბრანი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |

## შვედეთი

### V ტური

**გიოტებორგი 1:0 ნორჩიოპინგი**
**სუნდსვალი 0:1 ჰელსინგბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანდსკრონა | 4 | 3 | 1 | 0 | 14:5 | 10 |
| იორგრიტე | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| იურგორდენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| გიოტებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ელფსბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| სუნდსვალი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| იორებრო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| კალმარი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ჰამარბი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| აიკ | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | 4 |
| ნორჩიოპინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| მალმიო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ჰალმსტადი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს ჩემპიონატი

# რა არის ჩვენი ცხოვრება? ჩხუბი!

## შარო, საიდან მოდიხარ? საქართველოდან



გაწევა, გამოწევა, ტრიბუნებზე ავარდნა... ესაა ქართული კალათბურთი?!





გურამ ცერცვაძის ფოტოები

**გუშინ** ნანახის ლოგიკით „დინამო" — „სტუ-ჯეოსელის" ნახევარფინალურ სერიაში ომია მოსალოდნელი. ამ გუნდების გუშინდელ ბოლო ტურის არაფრისმომცემ მატჩში ამბები დატრიალდა, მტრისას...

შარშანაც, მაშინაც 2 მაისის ნახევარფინალურ „აზოტი" — სტუ-ს შემდეგ ქართველ ქომაგს ვერაფრით გააკვირვებ, მაგრამ არ შეიძლება ერთხელაც არ ითქვას იმ უმსგავსობაზე, რომელიც ქართულ კალათბურთში აგერ, მეთერთმეტე წელია, გრძელდება.

გუშინ რაც მოხდა, მარტო სტუ-სა და „დინამოს" ბრალი როდია. ბავშვს როგორც გაზრდი, ისეთი იქნებაო და ქართული კალათბურთის უახლესი ისტორია ხომ ცემა-ტყეპის, გინების, ტრიბუნებზე ავარდნისა და იქიდან ჩამოვარდნის ისტორიაცაა. მოკლედ, გუშინაც იყო, თუმც, როგორც გითხარით, არა ისე, როგორც შარშანდელ 2 მაისს, მსაჯი ზაზა მაჩალაძე მოსაკლავად რომ გაიმეტეს... მაჩალაძეზე გუშინაც იწევდნენ, ერთიც კი მოარტყეს, მაგრამ საბოლოოდ ბომბზე მჯდომ დინამოელებს ეყოთ საღი აზრი და მორიგ საქვეყნო სკანდალს ასცდნენ.

შფოთის მიზეზი კვლავ მსაჯის გადაწყვეტილება იყო. შარშანდელი 2 მაისის „გმირი", აწ დინამოელი ირაკლი ჯაფარიძე შეტევაში სტუელ ვასილ ოთიურიძეზე დაჯარიმდა. ამით არც არაფერი, მაგრამ როგორც შემდგომ კერძო საუბრისას გაირკვა, მათ მრუდი სიტყვები გაუცვლიათ და ამის დამნახავ-გამგებმა მსაჯმა ორივე მოედნიდან გააძევა. სკანდალიც აქ აგორდა, ვერდიქტი მოთამაშეთა მინიმუმ ორთამაშიან დისკვალიფიკაციას ნიშნავდა და „დინამო" საპლეიოფოდ ჯაფარიძისა და ნაცვლიშვილის გარეშე რჩებოდა. ამ უკანასკნელმა მაჩალაძეს გინებისა და გაწევ-გამოწევისთვის გამოსტყუა დისკვალიფიკაცია.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა და არავინ იცის, რა მოხდებოდა, მსაჯები კომისართან ერთად გასახდელში რომ არ გაუჩინარებულიყვნენ და გადაწყვეტილება არ შეეცვალათ. სამივე მოთამაშეს ტექნიკური აკმარეს და ნახევარსაათიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მატჩი გაგრძელდა.

და ეს მოხდა უმოტივაციო, არაფრისმომცემ მატჩში, რომელშიც მწვრთნელ-მოთამაშეებს ჭოგრიტით უნდა ეზვერათ ერთმანეთი კარსმომდგარი პლეი ოფის წინ. თუ კლუბების უფროსობამ და ფედერაციამაც დარჩენილ შეხვედრებში უარეს უნდა ველოდოთ.

თავად მატჩი „დინამომ" გაჭირვებით მოიგო, მაგრამ ლევან მოსეშვილს დიდი საფიქრალი გაუჩნდა, რადგან ოთხი წამყვანი მოთამაშის გარეშე მყოფი სტუ მის მთელი შემართებით მოთამაშე გუნდს გვარიანად გაუძალიანდა.

ამ ამბებამდე თსუ და „მაკაბი" დაემშვიდობნენ მეთერთმეტე ეროვნულს. მაკაბელმა დავით ბერიშვილმა თორმეტი სამქულიანით სტუდენტებს წამოწევის საშუალება არ მისცა და არც არავის გაჰკირვებია მისი გუნდის 17-ქულიანი გამარჯვება.

უფრო ადრე კი სხვა ნახევარფინალისტებმა — „აზოტმა" და „ბასკომ" ზვერეს ერთმანეთი. რუსთაველები კარგად რომ ჩამორჩნენ, ზურაბ ტომარაძემ მოედანზე სათადარიგოები შეუშვა და წინამძღოლად, მთლად რომ არ შერცხვენილიყვნენ, ნუგზარ კოკოლიშვილი დაუნიშნა. თამაშს დანატრებულნი ისე გაშმაგებით იბრძოდნენ, რომ ბათუმელებს ბრძოლისუნარიანი მოთამაშეები შეუმცირეს. დავით თოთრთლაძეს ცხვირიდან სისხლი წასკდა, ჟოლივეტ ტუჯანი ნიშადურით ძლივს მოასულიერეს და ორივეს მოედნის დატოვება მოუხდა.

**ირაკლი ბერტაია**

2 მაისი. სპორტის სასახლე

**ბასკო 97:77 აზოტი**

2[illegible], 31:19, 19:19, 23:21

**ბასკო:** თორთლაძე (17), მ. მარკოიშვილი (8), ბიჯანიშვილი (13), ოქრუაძე (13), ბოჩკარიოვი (10); ჩაჩანიშვილი, ტაბიძე (2), ტუჯანი (8), დილონი (11)

**აზოტი:** გაბისონია, გოგობერიშვილი (6), კოკოლიშვილი (36), შპუნტი (8), ბერუაშვილი (8); ბოისა, მაჭარაძე (4), არწივიძე, ჯიმშელეიშვილი (2), ლიპარტელიანი (9), დანელიანი (4)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 104:87 თსუ**

28:20, 20:28, 24:20, 32:29

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (46), ი. ბერიშვილი (23), სარიშვილი (7), ფირცხელაური (14), სუხიშვილი (12); ანდღულაძე (2)

**თსუ:** ნიკოლაძე (33), ვეფხვაძე (4), გ. მარკოიშვილი (35), შანიძე, კილაძე (2); არსიაშვილი (3), ხეცურიანი (6), ახალკაცი (4)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**სტუ 88:95 დინამო**

20:24, 29:24, 24:30, 15:17

**სტუ:** სულაძე, ლოსაბერიძე (21), ოთიურიძე (11), ბაბიაშვილი (32), მინაშვილი (8); გაგნიძე, აბრამიძე (16)

**დინამო:** წოწელია (8), ნაცვლიშვილი (7), ჩუბინიძე (6), ნინიაშვილი (8), ოგანესიანი (15); მაისურაძე (22), მუპე (6), ტლენტი (17), ჩხეიძე (6)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**საბოლოო სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 31 | 28 | 3 | + 565 | 59 |
| დინამო | 31 | 22 | 9 | + 347 | 53 |
| სტუ-ჯეოსელი | 31 | 19 | 12 | + 203 | 50 |
| აზოტი | 31 | 17 | 14 | + 93 | 48 |
| თსუ | 31 | 12 | 19 | - 46 | 43 |
| მკაბი | 31 | 12 | 19 | - 187 | 43 |



ნიკა ცქიტიშვილს ამერიკელი ძიები აკვირდებიან

# NICK IS BEST!

## ამერიკაა ცქიტიშვილს მიუახლოვდა

*ეს დღეებია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პლეი ოფი გახურდა და, რაღა თქმა უნდა, კალათბურთელთა და კალათბურთით პურის მჭამელთა ყურადღება აქეთაა მიმართული, მაგრამ თანამედროვე საკალათბურთო ამერიკა მარტო დღევანდელი დღით როდი ცოცხლობს. პრაქტიკული ამერიკელები მომავალზეც ფიქრობენ, აგერ, პლეი ოფიც გაილევა, 2002 წლის დრაფტის დღე, 26 ივნისიც მოვა და მანამდე თუ არ შეათვალიერ-შეიგულეს ნიჭიერი ახმახი ბიჭები, სხვები დაასწრებენ.*

**ნბა-ს დრაფტი** წელიწადში ერთხელ იმართება, ნბა-ს კლუბები კი მისთვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან. თავად ნბა-სავით სანიმუშოდ აწყობილი სამძებრო სამსახური დედამიწის ყოველ კუთხეს გულმოდგინედ ზვერავს, რათა ნბა-სთვის ვარგისი არც ერთი კალათბურთელი არ გამორჩეს. ეს წლებია, სკაუტებმა მდიდარი საბადო აღმოაჩინეს და ნბა უკვე ითვისებს მას. ეს არის ბებერი კონტინენტი, ევროპა, სადაც ნბა-სთვის შეგულებულ სხვა მობურთალებთან ერთად ორი ქართველი ბიჭი — ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია თამაშობს და ელოდება, ოკეანგაღმელი ხალხი როდის დაუძახებს. ისინი კი სულ ახლოს არიან, განსაკუთრებით იტალიური „ბენეტონის" 211-სანტიმეტრიან და 20 წლის ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილთან.

ცქიტიშვილი ამჟამად იტალიის კოხტა ქალაქ ბოლონიაში დღეს დასაწყებ ოთხთა ფინალისთვის თანაგუნდელებთან ერთად ემზადება. ბენეტონელთა ვარჯიშს ცოცხლად ადევნებენ თვალყურს საკალათბურთო დაზვერვის არა მხოლოდ რიგითი მუშაკები, არამედ კლუბების ხელმძღვანელები. მაგალითისთვის „ჰიუსტონ როკიტსის" ორგზის გამჩემპიონებელი და სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონ ამერიკელთა მთავარი მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩიც იკმარებს. ბატონ რუდის ორი დღეა, თვალთახედვის არეში მოუქცევია ქართველი და მისადმი თავის სიმპათიას არ მალავს. ტომიანოვიჩის გარდა ტრევიზოელთა თამაშს აკვირდებიან თვით ჯერი ვესტის თანაშემწეები. ოთხთა ფინალის დასწრებას ვესტი პირადად გეგმავს. ამ კაცს საკალათბურთო მსოფლიო კარგად იცნობს, ხოლო ვინც არ იცნობს, მისთვის ვიტყვით, რომ ჯერი ვესტი, 60-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე, 70-იანების მწვრთნელი, ხოლო 80-90-იანების ადმინისტრატორია. ნბა-ს ემბლემაზე სწორედ მისი ლანდია გამოსახული. სულით ხორცამდე ლეიკერსელი ჯერი დროებით გავიდა პენსიაზე მას შემდეგ, რაც შაკილ ონილს, კობი ბრაიანტს და ფილ ჯექსონს „ლეიკერსში" მოუყარა თავი და 2000 წლის ჩემპიონობისკენ გზა დაულოცა. ეს დღეებია, ვესტი, „მემფის გრიზლიზის" პრეზიდენტად დაინიშნა და ახლა ამ კლუბის კეთილდღეობისთვის გამოიყენებს თავის ცოდნა-გამოცდილებას. ოთხთა ფინალში მისი სახით სერიოზული კრიტიკოსშემფასებელი ეყოლება ნიკა ცქიტიშვილს.

გუშინ ცქიტოს პირადად დავუკავშირდით იტალიაში და გავესაუბრეთ.

— აქ ამერიკელების ბუმია, 50-მდე ნბა-ს დამკვირვებელი დაესწრება ოთხთა ფინალს ბოლონიაში.

**— ცხადია, მარტო საყურებლად არ ჩამოვიდოდნენ...**

— რა თქმა უნდა, საქმეში სურთ ნახონ ისინი, ვინც სადრაფტოდ ჰყავთ შეგულებულნი. ჩვენი ვარჯიშის საყურებლად ტრევიზოში „ტორონტოსა" და „მემფისის" წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. აქ იყვნენ ჯერი ვესტის ხელქვეითები და მათთან ერთად „ჰიუსტონის" ცნობილი მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი.

**— მოთამაშეებთან რაიმე კონტაქტი ხომ არ ჰქონიათ?**

— არა, მათ მარტო გვიყურეს, თუმც, ჩემდა გასახარად, როგორც შემდგომ გავიგე, ტომიანოვიჩმა ბენეტონელთაგან გამომარჩია.

**— მაიკ დანტონთან საუბრისას?**

— არა. იმ ზღვა ჟურნალისტებს შორის, ტომიანოვიჩს რომ ინტერვიუ ჩამოართვეს, ერთი ჩემი ნაცნობიც ერია და რადგან იტალიური არ ვიცი და გაზეთში ვერ წავიკითხავდი, მან მითხრა, შეგაქოო.

**— საგანგებოდ დაეკითხნენ შენზე თუ...**

— არა, უბრალოდ, ვის მიიჩნევთ ბენეტონელთაგან ნბა-ში მოხვედრის ყველაზე რეალურ კანდიდატადო და, ტომიანოვიჩს უთქვამს, ცქიტიშვილსო.

**— ნუთუ შენზე ძლიერნი არ არიან...**

— როგორ არა და ჩემზე უკეთაც თამაშობენ, მაგრამ ისინი ზრდასრულნი არიან და, ალბათ, ტომიანოვიჩმაც ასაკისა და პერსპექტიულობის გამო გამომარჩია.

ქართველ თავდამსხმელს უკვე კარგად იცნობენ ატლანტის იქით შესაბამის წრეებში. გუშინწინ ქვეყნის ერთ-ერთმა უდიდესმა გაზეთმა „იუ ეს ეი თუდეიმ" დრაფტისთვის საკმარისად მზადმყოფ ნიჭიერ ყმაწვილთა სიები გამოაქვეყნა, სადაც უცხოელთა შორის ცქიტიშვილი მეორე ადგილზეა და ყველა სხვა არაამერიკელთაგან მხოლოდ 226-სანტიმეტრიან ჩინელ საოცრება იაო მონგს (თუ მინგ იაოს) ჩამორჩება. ამ იაომ მთელი ამერიკა გადარია და დრაფტზე მასზე ტაციაობას გამართავენ ნბა-ს კლუბები. იქნებ დრაფტის პირველი ნომერიც გახდეს. წინასწარი ვარაუდით სავსებით შესაძლებელია, ნიკა პირველ ათ არჩეულს შორის მოხვდეს, რაც ახალგაზრდა კალათბურთელისთვის სამოთხის კარის გაღებას ნიშნავს.

**ირაკლი ბერტაია**



რუდი ტომიანოვიჩი




ჯერი ვესტი და მისი მარადი ლანდი




## პლეი ოფი — პირველი წრე, სამ მოგებამდე



პოლ პირსის (№34) „ბოსტონი“ კვლავ დამარცხდა დიკემბე მუტომბოს „ფილადელფიასთან“



სიეტლელი გერი პეიტონი მსაჯს ეკამათა და „სან ანტონიოს“ ეომა

# ცალხელა ნაცარქექიამ ბოსტონს წვენი გამოადინა

— 1 მაისი —

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ბოსტონი | 2 |
| ფილადელფია | 2 |

**ფილადელფია 83:81 ბოსტონი**

**ფილადელფია: აივერსონი (28), კოულმენი (14), მაკკი (11 ქულა, 5 ჩაჭრა), მუტომბო (10 ქულა, 14 მოხსნა)**
**ბოსტონი: უოლკერი (25), პირსი (20), ანდერსონი (12)**

„ფილადელფია სიქსერზის“ ცქვიტ ლიდერ ალენ აივერსონზე სალაპარაკოს რა დალევს. ზედიზედ მეორე წელია, სეზონის მთავარ მექულეებს უსწრებს და თუ წლეულს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ველარ გახდა, თავის გასამართლებლად შეუძლია, დამაჯერებელი საბუთი, ხშირი ტრავმიანობა მოიშველიოს. მარცხენა ხელის მოტეხილმა თითმა რეგულარული სეზონის ბოლო 14 მატჩი გამოატოვებინა და არც ბოლომდე მოუშუშებია, მაგრამ მარტოოდენ მარჯვენითაც ახერხებს მეტოქეთა შეჩქვიფებას. „ტრავმებით თამაში ვისწავლე. ეს ტკივილის თანხლებით თამაში როდია, ტკივილს გაიყუჩებ და მოედანზე შეხვალ. აქ არასწორად მომუშავე ხელ-ფეხის სწორად ამუშავებაა მთავარი. ხანდახან ეს კარგად გამომდის“ — ამბობს აივერსონი. მისი ხანდახან კარგი თამაში ჯერჯერობით ჰყოფნის ამ ჭინკა ბიჭის ცალ ხელზე ჩამოკიდებულ „ფილადელფიას“ და არ ვარდება.

ბოსტონში ორი მარცხის შემდეგ ვიცე-ჩემპიონები თითქოს დაემშვიდობნენ პლეი ოფს. სწორედ აქ გამართა აივერსონმა დასტაქართაგან მრავალგზის ხელ და დანაშევლებული სხეული და მესამე მატჩში 42 ქულით „სიქსერზს“ გაამარჯვებინა. მეოთხეში მან გაცილებით ნაკლები, 28 ქულა მიითვალა, მაგრამ „ფილადელფიას“ კვლავ გადასარჩენად ამანაც იკმარა.

28 ქულა თავისთავად არაა ურიგო მონაგარი, თუმც აივერსონმა ამას 26 სროლა დაახარჯა. თავიდან მრუდედ წაუვიდა სროლები, 20-დან 17 გააფუჭა და მაშინ, როცა სხვა ნებისმიერი მის ადგილზე სხვას დაუთმობდა ინიციატივას, აივერსონმა თავისი საქმე განაგრძო და მასპინძლებმაც არ წააგეს. ბოლო მეოთხედში მნიშვნელოვანი სროლებისას ის უკვე იშვიათად ცდებოდა და არც მატჩის დამთავრებამდე 22 წამით ადრე გადამწყვეტი სროლისას დაალალატა მასპინძლები.

„მე შემიძლია დაგისახელოთ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემი შეჩერება შეუძლია. ეს კაცი ალენ აივერსონია და თუ მას არ სწადია, ჩემი თამაშიდან გამოთიშვა შეუძლებელია“ — თქვა აივერსონმა ნამატჩევს. ალენს აქვს ცხვირის აწევის მორალური უფლება. მისი მეთაურობით „ფილადელფია“ შეეცდება, ნბა-ს ისტორიაში მეშვიდე გუნდი შეიქნას, რომელიც 0:2 ჩამორჩენის შემდეგ სერიას მოიგებს.

გადამწყვეტ, მეხუთე შეხვედრას კი სამ მაისს ბოსტონი უმასპინძლებს.

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 2 |
| სიეტლი | 2 |

**სიეტლი 91:79 სან ანტონიო**

**სიეტლი: პეიტონი (28 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი), რადმანოვიჩი (23), მეისონი (17)**
**სან ანტონიო: როუზი (28 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (14), სმიტი (11)**

ნორმალურ შემთხვევაში პირიქით ხდება, ამჯერად კი „სან ანტონიო“ იყო განწირული „სიეტლთან“ წაგებისთვის. „სან ანტონიოს“ ყოფას უჩვეულო იმით ეთქმის, რომ სერიის მეოთხე მატჩში ორივე კოშკი მოისაკლისა — ცენტრი დევიდ რობინსონი და თავდამსხმელი ტიმ დანკანი. სანანტონიოელები ადრევე შეეგუვნენ ადმირალის (რობინსონის მეტსახელია) არყოლას, მოხუც დევიდს რაღაც სტკივა და არც წინა მატჩებში გამოჩენილა. სამაგიეროდ, უდიდესი დანაკლისია ტიმ დანკანი. „სან ანტონიოს“ ქართველ ქომაგებს (გვერწმუნეთ, ჩვენშიც მოიძევებიან ისინი) დავამშვიდებთ, ტიმს თავად არაფერი სჭირს მწუხარების გარდა, მას მამა გარდაეცვალა და სერიის მეოთხე თამაშს, ცხადია, ვერ დაესწრო.

„სიეტლმა“, ცხადია, ისარგებლა წყვილი კოშკის არყოფნით, მეტოქეს თავისი სასურველი თამაში მოახვია და იოლადაც მოუგო, რის შემდეგაც სერიაში მეორედ გაათანაბრა ანგარიში. სიეტლის ყოჩმა გერი პეიტონმა როგორც იქნა, უპრობლემოდ აჯობა ფრანგ საოცრება ტონი პარკერს და თან კარიერაში მეორე საპლეიოფო სამმაგი დუბლი შეასრულა. მისი და იუგოსლაველი სნაიპერის ვლადიმირ რადმანოვიჩის მეთაურობით „სიეტლი“ უკვე პირველ ტაიმში 28 ქულით დაწინაურდა და სტუმრებს სერიის მოგება სულ მცირე, ორი დღით გადაუვადა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

# პეიტონი ჯორდანს ერთ ამბავში გაუტოლდა

**ეროვნულმა** საკალათბურთო ასოციაციამ გუშინ დაასახელა რეგულარული ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეულები. ხუთეული სამია და შედგება ნბა-ზე მწერალ ჟურნალისტთა აზრით თავიანთ ამპლუებში უძლიერესი ბიჭებისგან. პირველ ხუთეულში ცხოვრებაში პირველად მოხვდნენ „ლეიკერსის“ 24 წლის მსროლელი **კობი ბრაიანტი** და „ორლანდოს“ ცოტა ახალგაზრდა ფრთა **ტრეისი მაკგრეიდი**. ამათ გარდა იქ განთავსდნენ კობის ზემძიმე თანაგუნდელი **შაკილ ონილი**, „ნიუ ჯერსის“ გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** და სანანტონიოელი **ტიმ დანკანი**, რომელიც მეხუთე წელია, ნბა-შია და მეხუთედ აჯობა ყველა თავდამსხმელს.

მეორე ხუთეული შეადგინეს **გერი პეიტონმა** (სიეტლი), **ალენ აივერსონმა** (ფილადელფია), **კევინ გარნეტმა** (მინესოტა), **დირკ ნოვიცკიმ** (დალასი) და **კრის ვებერმა** (საკრამენტო).

მესამე ხუთეულში მოხვდნენ **სტივ ნეში** (დალასი), **პოლ პირსი** (ბოსტონი), **ჯერმენ ონილი** (ინდიანა), **ბენ ვოლესი** (დეტროიტი) და **დიკემბე მუტომბო** (ფილადელფია).

გარდა ამისა, ნბა-ს დაკვეთით ჟურნალისტებმა დაცვის ორი ხუთეულიც გამოავლინეს. პირველ ხუთეულში მეცხრედ მოხვდა „სიეტლ სუპერსონიქსის“ სუპერგამთამაშებელი **გერი პეიტონი**, რითაც იგი გაუთანაბრდა ამ მხრივ რეკორდსმენ მაიკლ ჯორდანს. მას მხარი დაუმშვენეს **ტიმ დანკანმა, კევინ გარნეტმა, ჯეისონ კიდმა** და, რაღა თქმა უნდა, სეზონის საუკეთესო დამცველმა **ბენ ვოლესმა**. პირველ ხუთეულში ადგილი ვერ მოიძებნა ბოლო შვიდი სეზონიდან ოთხში საუკეთესო დამცველად აღიარებული **დიკემბე მუტომბოსთვის**. ჟურნალისტებმა ის მეორე ხუთეულში განამწესეს, სადაც მის გარდა საკრამენტოელი **დუგ კრისტი**, სანანტონიოელი **ბრიუს ბოუენი**, დეტროიტელი **კლიფორდ რობინსონი** და **კობი ბრაიანტი** არიან.



# კასპაროვის პენალტი ივანჩუკმა აიღო

**პრაღაში** ჭადრაკის სათამაშოდ ისეთი კარგი პირობებია, მეტი არ შეიძლება. მდინარე ვლტავას ამწვანებულ კუნძულზე დგას „ზოფინ პალასი“, რომელიც სასახლეს არა და უმყუდროვეს ვილას წააგავს. „ეუროტელ ტროფის“ მონაწილენი და მაყურებლები (შესვლა უფასოა) სასტუმროებიდან სწორედ კუნძულზე მიდიან და უნდა ითქვას, დარბაზში ცარიელ ადგილს ფაქტობრივად ვერ ნახავთ. ამის მიზეზი მარტო „ჩემი რა მიდის“ როდია, ბოლო-ბოლო, დედამიწის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე თამაშობს ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონ რუსლან პონომარიოვის გარდა. ტურნირის ორგანიზებულობისთვის მობილიზებულია უმაღლესი კადრები მშვენიერთა სქესიდან. ჩეხის კოხტა გოგონები შიშველ მხრებზე გადაგდებული ლენტებით, რომელთაც „ეუროტელ ტროფი“ აწერიათ, ერთობ იქცევენ ყურადღებას. მოკლედ, კაცი არ მოიწყენს და არა მარტო გარეგნული ეფექტურობის ამბავში: ტექნიკის ბოლოს მიღწევებით, ესე იგი, „პენტიუმ 4“-ებით და მისთანებით გაწყობილ პრესცენტრს ხელმძღვანელობს წარსულში განთქმული დიდოსტატი ლიუბომირ კავალეკი, რომელსაც აყვავების ხანის კარპოვიც დაუმარცხებია.

ვერ ვიტყვით, რომ კარპოვი ახლაც კარიერის ზენიტშია, მაგრამ პრაღაში სამი წრე ისე დამაჯერებლად განვლო, როგორც სხვა არც ერთმა. მეოთხედფინალში კარპოვი შეხვდა ახალი თაობის ვარსკვლავს, ალექსანდრ მოროზევიჩს და შავებით მოუგო. პარტიის დასაწყისში მოროზევიჩმა მეტოქის ლაზიერის ფრთას თავისებური სიმსუბუქით შეუტია და ინიციატივა ეპყრა 32-ე სვლამდე, როცა მისმა უზუსტობამ პოზიციას საყაიმო ელფერი შეჰმატა. ჭაბუკმა ვერ მოისვენა, მისი აზარტულობა ცნობილია და პარტიის დამთავრებას 97(!) სვლა დასჭირდა, რომელთა კეთების პროცესში გაირკვა, რომ მოროზევიჩს ნელ-ნელა ყაიმიც უძვრებოდა ხელიდან.

მრავალპაიკიანი ლაზიერების ენდშპილში კარპოვს ჯერ გაორებული გამსვლელი პაიკები ჰყავდა, ხოლო 77-ე სვლაზე ორი ზედმეტი პაიკი გაუჩნდა და მერე წავიდა ქრესტომათიული მანევრები, რომელთა ნახვა ჭადრაკში ცუდად ჩახედულსაც ემებოდა. მოროზევიჩი მხოლოდ სრულიად გამოუვალ ვითარებაში დანებდა, ხოლო შავებით ნახევარ ქულაზე მეტს ვერ გასწვდა. კარპოვი ოთხ საუკეთესოში მოხვდა და შეხვდება ალექსეი შიროვს, რომელმაც ვესელინ ტოპალოვს მოუგო.

მეორე წყვილში ვიშვანათან ანანდი და ვასილი ივანჩუკი მოხვდნენ. უკანასკნელმა [illegible] ბით შე[illegible] კასპაროვის დამარცხება. ყაიმი გაფორმდა ამათი სწრაფი ჭადრაკის პარტიებში, მერე ორივე ბლიცში და „არმაგედონის“ ჯერიც მოვიდა. ამ პოპულარული სიტყვით ახასიათებენ დასკვნით ბლიცს, როდესაც თეთრებს შავებზე 1 წუთით მეტი დრო აქვთ, მაგრამ აუცილებლად უნდა მოიგო, თორემ ყაიმი შავებს ეთვლებათ.

ჩვენი ჭკუით, აქ „პენალტების სერიაც“ ნორმალური სახელი იქნებოდა, ჰოდა, ივანჩუკმა უკეთ ურტყა კასპაროვის კარში. ელვისებურ გადაადგილებათა და საათზე მალიმალ ტყაპუნის შემდგომ უკრაინელი ზედმეტი პაიკით დარჩა და უპირატესობა ქულაში გარდასახა.

ივან სოკოლოვის ალღუმი ელიტარულ მოჭადრაკეთა ზედა ანანდმა აღკვეთა, რომელიც ბოლოდროინდელ ჩავარდნათა ფონზე პრაღაში ცოცხლად თამაშობს. შავებით ყაიმის შემდეგ ანანდმა თეთრებით 76 სვლა დაისაჭიროვა, პარტია ენდშპილში გადაეყვანა, ეტლით ღია ვერტიკალი დაეპყრო, შავი პაიკების სინსილა გაეწყვიტა და სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში მეტოქისთვის წყალი გადაეწურა. ანანდ-ივანჩუკის ნახევარფინალური დუეტი სწორედ ისაა, რასაც კომპანია „აინშტაინი“ მსოფლიოს პირველობის ციკლის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. პრაღაში რეპეტიციისმაგვარი იქნება, ხოლო ნამდვილი წარმოდგენის შესახებ სჯა-ბაასი იქვე 6 მაისსაა დანიშნული.

**დავით ბულუა**

### მეოთხედფინალი

**ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 3-2; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ივან სოკოლოვი (ბოსნია) 1,5-0,5; ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 1,5-0,5; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1,5-0,5**






ვასილი ივანჩუკმა გარი კასპაროვი არ გაახარა




ანატოლი კარპოვს ახალგაზრდების გვემა ჯერ კიდევ ეხერხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარგი ცხოვრების სურათები

## 15 წლისაა და რა ყოჩაღია!



ვინუს უილიამსი ქომაგებს ავტოგრაფს უხვად ურიგებს

პალმა დე მალიორკა. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**

**აგუსტინ კალერი** (ნ, არგენტინა) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 6:3, 6:1; **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (6, ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ჟან-ფრანსუა ბაშელო (საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:0; **ოლივიე როშუ** (ბელგია) — რაფაელ ნადალ-პარერა (ესპანეთი) 6:2, 6:2

მალიორკაში შეყრილთაგან გამოსარჩევ მეჩოგნედ უსახელო არგენტინელი აგუსტინ კალერი იქცა. მან ქილვაშებიანი ესპანელი, ხუან ბალსელსი დაჯაბნა და მეოთხედფინელში ძმა როშუებიდან უფროსს, ოლივიეს დაეჯახება.

ოლივიემ, სხვათა შორის, 15 წლის მალიორკელი ლაწირაკი, რაფაელ ნადალ-პარერა გატყიპა. რაფაელი, ეგებ ვინმეს არ ახსოვდეს და, ორშაბათს მეცხრე ბიჭუნა გახდა, ვინაც ATP ტურის ეპოქაში, ანუ 1968 წლიდან ვიდრე დღემდე, სატურე მატჩის მოგება მოახერხა. დღეს ჩემი თამაში არ გამომივიდა და ვერაგულად მომიგოო, ეგრე შტერულად იმართლებდა თავს რაფაელი და, თავს მაინც ძალიან ბედნიერად ვგრძნობო, ეგრე დასძენდა.

მიუნხენი. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**ნიკოლას ლაპენტი** (7, ეკვადორი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:4; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (7:5), 4:6, 6:3; **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:2, 6:2; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 6:3, 6:2

ბრაზილიელ ფერნანდო მელიგენის ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტისთვის ჩოგანი შარშანდელი როლან გაროსის მეორე წრეში მოეგრიხა. ამიტომაც იყო, ლაპენტი ამ შეხლის წინ გამორჩეულად რომ იქადნებოდა.

ნამატჩევს მას რევანშის აღებაზე ტრაბახი შეეძლო — დაძაბული სამიუნხენო განდაგანა სწორედ მისი დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

მეოთხედფინალში ეკვადორელი ჩეხ რადეკ სტეპანეკს შეეპაექრება. სტეპანეკმა კაფელნიკოვის გამგდებ ნიკოლას კიფერს მოუღო ბოლო. კარგად აწოდებდა და ერთი შეცდომაც არ დაუშვიაო, ხოტბას ასხამდა გერმანელი გამარჯვებულს, მე კი ბითურივით ჩავიფლავეო, ეგრე გულისტკენით ამატებდა.

ბოლო რვეულისკენ კორტი გერმანელმა რაინერ შუტლერმა და ესპანელმა ფრანსისკო კლავეტმაც გაიკაფეს. პირველმა თვისტომ ალექსანდრ პოპს უბრახუნა, მეორემ კი ტიტულის მაძიებელთა სიას საზიფათო არგენტინელი, ჩაუქი ხუან იგნასიო ჩელა გამოთიშა.

ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 585 ათასი $

**პირველი წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა** (6, სლოვაკეთი) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:1, 6:1; **ანკა ბარნა** (გერმანია) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 2:6, 6:4, 6:4; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (8, ესპანეთი) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:1, 6:3; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — ანდრეა გლასი (გერმანია) 6:2, 6:3; **ბარბარა რიტნერი** (გერმანია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 2:6, 6:4, 6:1; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 3:6, 6:0, 6:0;

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:2, 6:3

უფროსმა შავდამ შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა დამთრგუნველი ხათქა-ხუთქით დაიწყო. მისი უმძლავრესი ხელწამოსა და ბადესთან მიძალებული თამაშის წინააღმდეგ პირმშვენიერმა ფრანჩესკამ ვერაფერი გააწყო.

„სიჩქარის დაგდებას არც მერე ვაპირებ — ვინუსი აგრესიას ნამატჩევსაც ვერ იკავებდა — სხვებსაც სწორად ასევე დავჩოგნავ: ჯერ უკანა ხაზიდან ავიკლებ, მერე კი ბადიდან დავიმორჩილებ. რაც მთავარია, შეცდომებს ნაკლებად ვუშვებ, პირველი ჩაწოდებაც უფრო მიმდის და საერთოდაც, ყველაფერი ოკეია".



ფრანსისკო კლავეტი

გაპარპაშდა ჰამბურგში ოდესღაც სამგზის ნახეირები არანჩა სანჩეს-ვიკარიოც. ეშხიანმა ესპანელმა, ვინაც ამჯერად მხოლოდ მე-8 ჩოგანს აქნევს, გზიდან ადრიანა სერა ძანეტი ჩამოიცილა.

მეტოქე არც მომხიბლავ სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვას დაუნდია, სანაცვლოდ ჩაფლავდა წინის-წინა კვირაში ჩარლსტონ-თიხნარზე გალაღებული პატი შნიდერი. მას ისე-რა გერმანელმა ანკა ბარნამ უგანა.

ბოლი. თიხნარი
საპრიზო 140 ათასი $

**პირველი წრე**

**მაგდალენა მალეევა** (3, ბულგარეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:3, 6:4; **მარია სანჩეს ლორენსო** (ესპანეთი) — ანხელეს მონტოლიო (ნ, ესპანეთი) 6:2, 6:2; **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3; **ასა სვენსონი** (შვედეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:4, 7:5

**მეორე წრე**

**ელენა დემენტიევა** (1, რუსეთი) — ანჯელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 6:2, 6:1; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — ჰენრიეტა ნაგიოვა (6, სლოვაკეთი) 6:3, 7:5; **ვერა ზვონარევა** (რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (8, სლოვენია) 6:4, 6:2

დღის უმთავრეს ამბად ვინმე ესპანელი მარია სანჩეს ლორენსოს მიერ შარშანდელი ჩემპიონისა და წლევანდელი მეხუთეადგილოსნის ანხელეს მონტოლიოს გალახვა გამოდგა.

მონტოლიო აპრილში პორტუს თიხნარზე ნახეირები და ეშტორილში მეოთხედფინალამდე ნაბურთავები ბანოვანი გახლავთ. ამიტომაც იყო, უსახელო ლორენსოს მიერ მისი გვემა ყველამ სენსაციად რომ აღიქვა...

მაგიერში დასტურ იმარჯვა რუსმა ელენა დემენტიევამ, რომელმაც ძალზე მოკლეკაბიანსა და შნოიანი ბარძაყების უშურველად გამომჩენ ინდონეზიელ ვიჯაჯას გადაუარა.

ერთი ეგაა, რუსგოგოს მხარი ნატკიება და მეოთხედფინალში იტალიელ ტატიანა გარბინთან თუ წაფორხილდა, არავის გაუკვირდეს!

გარბინმა მეექვსე ნომრად განთესილ ჰენრიეტა ნაგიოვას აჯობა და ტურნირს მერვე ნომრად განთესილი კატარინა სრებოტნიკიც გამოაკლდა. ეს უკანასკნელი ვინმე რუსმა ვერა ზვონარევამ დაჩაგრა.

**ლევან ძელაურაძე**



არანჩა სანჩეს ვიკარიო და მისი ფინია ტინა



დანიელა ჰანტუხოვა ჰამბურგში დედიკოსთან ერთად ჩასულა



ჰამბურგის ტურნირის დირექტორ ვალტერ კნაპერს ელენა დოკიჩი ჩაუბღუჯავს

# მიკრო უჩოგნო მეჩოგნის ცხოვრების ფონი



ბორის ბეკერი

**ბორის ბეკერი** წლეულს უიმბლდონის ტურნირზე გამოჩენას აპირებს. ოღონდ იგი არც ჩოგნის გაქნევით შეიწუხებს თავს და არც სხვა რამის. სახელიანი დიდმეჩოგნე კომენტატორის ჯიხურში გაყუჩდება და ბობოლა ტურნირზე თავის მონაწილეობას საკორტო ბატალიებისთვის თავისი ხავერდოვანი ბანის აყოლებით დააფიქსირებს.

ბეკერი, ყველაზე ჭაბუკი კაცი, ვისაც ოდესმე ბალახსაფრიანი სადიდსლემო ტიტული მოუნაგრავს — და 1985-ში, როცა იქაურობის აკლება მოახერხა, იგი მხოლოდ 17 წლისა იყო — თურმე BBC-ის შეამხანაგებია.

„როგორც მრავალგზის მითქვამს, უიმბლდონის სეფეკორტი ჩემი ერთადერთი საარსებო გარემოა, და მე მინდა, მას სხვადასხვა პოზიდან ვჭვრეტდე" — ამბობს ბეკერი.

ხოლო BBC-ის გენერალური დირექტორის, პიტერ სელმონის თქმით: „ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ იმით, რომ მას ჩვენ გუნდში ვიგულებთ. ბეკერის საუიმბლდონო გარჯა უკვე დიდი ხანია მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდადაა ქცეული და მის კომენტარზე ამო მოსასმენი, აბა, რა უნდა იყოს".

„ის ჯონ მაკინროისა და პეტ კეშის მეგობარია, ხოლო ეს ორი სახელიანი მეჩოგნე უკვე რახანია, ჩვენი ტელეაუდიტორიის მეგობრები არიან".

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

ჭიდაობა

# ევროპა აქვეა, ბაქოში

## ქართველების პირად-ჯგუფური შანსები

**ბაქოში,** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე გუშინ ქართველთაგან სამმა ფალავანმა იჭიდავა. 55 კილოგრამიანთა შორის იყო გორელი ბესიკ გოჩაშვილი, ვინაც ორი ბრძოლა გამართა. გოჩაშვილი ჯერ თურქ ერსინ ჩეთინთან დამარცხდა — 1:8, მაგრამ მერე ბერძენ ამირან კარდანოვს 4:0 მოუგო და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. გოჩაშვილის მომდევნო მეტოქე აზერბაიჯანელი ნაზიმ ალიდანოვია. მეორე გორელმა შალვა მუზიაშვილმა, რომელიც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდის, ტურნირი გამარჯვებით დაიწყო. შალვამ შვეიცარიელ გრეგორი სარასინს 3:1 სძლია და ახლა ესპანელ რუბენ დიასთან დაიჭერს საქმეს.

გურჯაანელმა რევაზ მინდორაშვილმა, 84 კილოგრამიანებში რომ ჭიდაობს, გუშინ ორი მეტოქე დაამარცხა. მინდორაშვილმა ჯერ შვეიცარიელ ტომას ბუშელს მოუგო — 6:2, მერე კი თურქი ერხან ბალჩი დაალონა — 3:1 და ლატვიელ იურიუს იანოვიცთან დაჭიდების წინ ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს.

**ბაჩო სვანიძე**

რაგბი

# დალალიო ბარბაროსებს შუბლით დაეჯახება

**მსოფლიოში** ყველაზე ეშხიანად მობურთალთა მოხეტიალე კრებული „ბარბაროსები“ მაისის დამლევს ბრიტანეთს შეესევა. ჯონა ლომუ, კრისტიან ქალენი, რასი ერასმუსი და ძმანი მათნი 26 მაისს თვიქნემში ინგლისთან ითამაშებენ, 29-ში კარდიფის „მილენიუმზე“ უელს დაეჯახებიან, 1 ივნისს კი „მარიფილდზე“ სკოტთა დაჩოქებას შეეცდებიან.

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ის შემადგენლობა დაასახელა, „ბარბაროსებს“ რომ დაახვედრებს. ვუდვორდმა ნაკრებში უხმო ფილ ჯოუნს, ვინც „ორელის“, ინგლისის „ა“ და შვიდკაცა ნაკრებების გარემარბად მთელი სეზონი მაგრად იდგა. კაპიტნობა კი დაეკისრება არა ვუდვორდის ნებიერა ჯონი უილკინსონს, არამედ „ვარდების“ გიგმაჲ ყოჩ ლოურენს დალალიოს. ნარკომანყოფილმა, ლუდხანების ხშირმა სტუმარმა და მეძავთა რისხვამ ბოლოს ნაკრებს 1999 წლის აპრილში უკაპიტნა. „მას მოხარშულს ვიცნობ, მისი ძალისა და ნერვების პატრონი სწორედ რომ კაპიტანი უნდა იყოს. „ბარბაროსები“ აგრესიულები არიან, დალალიო მათ თამაშის სურვილს მოუსპობს“ — ასე ახსნა დალალიოს „დაწინაურება“ კლაივ ვუდვორდმა. „ვარდების“ მოძღვარმა ისიც თქვა, რომ ყველა უძლიერესი მორაგბე ვერ შეკრიბა და გული დასწყდა მეტ პერის გამო, ვინც 26 მაისს „ბარბაროსებში“ იქნება და თავის ძმაკაცებს დაუპირისპირდება. ვუდვორდის გუნდი კი ასეთია:

**მორკინალები:** *მარკ კორნველი, ლოურენს დალალიო (კაპ), დეკლან დანაჰერი, ჯეიმს ფორესტერი, დევიდ ფლეტმენი, პოლ გუსტარდი, მარკ რეგანი, საიმონ შოუ ენდრიუ შერიდანი, სტივ ტომპსონი, ფილ ვიკერი, ტრევორ ვუდმენი, ჯო უორსლი, მაიკლ უორსლი*

**უკანა ხაზი:** *იან ბელშოუ, კირონ ბრაკენი, ბენ კოენი, მეტ დოუსონი, ნიკ დანკომბი, უილ გრინვუდი, ბენ ჯონსტონი, ფილ ჯოუნსი, ჯოშ ლესეი, მაიკლ სტივენსონი, მაიკ ტინდალი, დეივ უოლდერი, ჯონი უილკინსონი.*



ლოურენს დალალიო

ჰაინეკენის თასი ფინალი, 25 მაისი, კარდიფი

# ლესტერ-მანსტერული მილიონები

## გინდა ხალხი, გინდა ფული

**„ჰაინეკენის თასი“** რაგბის ჩემპიონთა ლიგაა და მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. წლევანდელი ტურნირის ფინალს, რომელიც 25 მაისს კარდიფის „მილენიუმზე“ გაიმართება, სარეკორდო აუდიტორია ეყოლება. კონტინენტის საკლუბო ტურნირის უმთავრეს ჯახს ხუთ მილიონამდე ქომაგი ნახავს. ფინალში ერთმანეთს ირლანდიური „მანსტერი“ და ინგლისური „ლესტერი“ დაუპირისპირდებიან.

მატჩზე დასასწრები 70 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია, ამას დაუმატეთ წლიური აბონემენტების მფლობელი ხუთი ათასამდე ქომაგი და „მილენიუმზე“ ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარ იქნება. დაახლოებით 50 ათასი ირლანდიელი ზღვის გადალახვას და თავისი გუნდის ქომაგობას აპირებს, ინგლისელებს კი 10 ათასი გულშემატკივარი ეყოლებათ. დანარჩენი ბილეთები უელსელ გულშემატკივარზე გაიყიდა.

ეს რაც შეეხება უშუალოდ მატჩზე დასწრებას, ახლა ტელეაუდიტორიაც დავთვალოთ. საფრანგეთში პოპულარული არხის FR2-ის ორ მილიონამდე აბონენტმა თავის ტელეფავორიტს ამ მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია სთხოვა, რაზეც დასტური მიიღო. ირლანდიურმა არხმა RTE-ემ მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა უელსში ვერწამსვლელთა ცხოველი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. მსოფლიოს ტელეგიგანტი BBC კი იძულებული შეიქნა, 25 მაისის პროგრამა შეეცვალა და ფინალის პირდაპირი რეპორტაჟი ჩაერთო.

აქამდე სარეკორდო აუდიტორია „ჰაინეკენის თასს“ შარშანწინ ჰყავდა, როცა თვიქნემზე გამართულ ფინალს 68 441 გულშემატკივარი დაესწრო. მაშინ ნორთჰემპტონის „საინთსმა“ (წმინდანები) „მანსტერს“ 9:8 მოუგო. ტელევიზორებს კი მილიონნახევარი ქომაგი მიუჯდა.

**ბაჩო სვანიძე**

ჰოკეი

NHL სტენლის თასი
მეოთხედფინალი ოთხ მოგებამდე



სანხოსელმა ტეემუ სელიანემ ორჯერ შემართა მარჯვენა — ორჯერ გაიტანა

# კოლორადო დაღლამ დაალალაჭა

1 მაისი

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 0 |
| სან ხოსე | 1 |

**კოლორადო 3:6 სან ხოსე 0:2 2:1 1:3**

0:1 რიჩი (7), 0:2 სელიანე (11), 0:3 სელიანე (32), 1:3 დრური (35), 2:3 დევრიზი (38), 2:4 მარლო (53), 2:5 ტორნტონი (56), 3:5 ფორსბერგი (57), 3:6 მარჩმენტი (60)

წარმოუდგენელი რამ ხდება პლეი ოფში, ფავორიტებს შავ დღეში აგდებენ. ჯერ იყო და, პირველ რაუნდში აღმოსავლეთის ბობოლებს დაერივნენ, ახლა კი, როგორც ჩანს, დასავლელი მონსტრების ჯერია. სან ხოსესთან პირველ მატჩში, თანაც შინ, კოლორადომ არა მარტო წააგო, მეტოქემ სანიმუშო გაკვეთილიც ჩაუტარა. კოლორადოს თაობაზე მატჩამდე გამოთქმული ყველა ვარაუდი გამართლდა. ლოს ანჯელესთან უმძიმესი სერიის შემდეგ დენვერელებს დასასვენებლად 48 საათიღა დარჩათ, რაც აშკარად არ აღმოჩნდა საკმარისი. სანხოსელები მთელი მატჩის განმავლობაში უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ, კოლორადოელები კი ძლივს დაღოღავდნენ ყინულზე. თან, მათდა საუბედუროდ, წამყვანმა მცველმა რობ ბლეიკმა ფეხი დაიზიანა და თამაში ვერ შეძლო, ხოლო ახალგამოჯანმრთელებულ მილან ჰეიდუკს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევამ პრობლემა შეუქმნა — ჩეხი ლეგიონერი მანქანას მიაქროლებდა გადაჭარბებული სიჩქარით და სასამართლოში გამოიძახეს. მოკლედ, ეს თამაში კარგს არაფერს უქადდა კოლორადოს, მით უმეტეს, რომ ტეემუ სელიანემაც აიწყვიტა. სან ხოსეში გადასვლის შემდეგ მას პლეი ოფში ორი სეზონია, გოლი არ გაეტანა, ახლა კი დუბლი შეასრულა. მართალია, ამის შემდეგ კოლორადომ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, თან ერთ-ერთი გოლი გუნდის იღბლის თილისმამ კრის დრურიმ მიითვალა (როცა ის იტანს, კოლორადო არ აგებს), მაგრამ... ეს კოლორადოს დღე არ იყო, რაც ბოლო პერიოდმა ერთხელ კიდევ დაადასტურა. „ჩვენი სიძლიერე ისაა, რომ გოლის გატანა ყველას შეუძლია. ბედნიერი ვარ, რომ დღეს მე გამიმართლა“ — თქვა მატჩის შემდეგ სელიანემ.

**აღმოსავლეთი**

# ვინ არის ვინ, ვინ ვის?

### კაროლინა (3) — მონრეალი (8)

**პლეი ოფში არ უთამაშიათ**

ლიდერები პლეი ოფში

**კაროლინა:** რონ ფრენსისი (1გოლი+2პასი), ბეიტს ბატალია (1+2), იაროსლავ სვობოდა (0+3)

**მონრეალი:** რიჩარდ ზედნიკი (4+4), დუგ გილმორი (3+4), საკუ კოივუ (2+5), დონალდ ოდეტი (2+4), ოლეგ პეტროვი (1+5)

ვინ წარმოიდგენდა, რომ თასის პირველ რაუნდში კაროლინა ნიუ ჯერსის დააჩოქებდა. მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებსავარაუდო იყო, რომ აღმოსავლეთში სწორედ კაროლინა აღმოჩნდებოდა მეორე რაუნდში გასულთა შორის ყველაზე მაღალ ადგილზე განთესილი. ბოსტონისა და ფილადელფიის კრახმა ამ კონფერენციაში გვარიანად არია ყველაფერი.

მრისხანე მეტოქეების ძლევის შემდეგ ორივე გუნდი აზარტშია. კაროლინას გაუჭირდა ნიუ ჯერსისთვის გოლების გატანა, სამაგიეროდ, მეკარე კევინ უიქსმა შემოგვთავაზა სიურპრიზი, როცა ბოლო ორ მატჩში ბრწყინვალედ შეცვალა არტურს ირბე. მონრეალის სერია ბოსტონთან გაკილებით შინაარსიანი იყო და ბევრს გაახსენა ის მონრეალური სული, რომლითაც ოდესღაც გამოირჩეოდა ეს სახელოვანი კლუბი.

**ESPN-ის პროგნოზი: 4:3 მონრეალის სასარგებლოდ**

### ტორონტო (4) — ოტავა (7)

**პლეი ოფში ბოლო შეხვედრა: 2001 წელს ტორონტომ 4:0 მოიგო**

ლიდერები პლეი ოფში

**ტორონტო:** გერი რობერტსი (2+5), ალენ მაკოლი (1+6), ტომაშ კაბერლე (2+4), ალექსანდრ მოგილნი (4+1), დარსი ტაკერი (2+3)

**ოტავა:** დანიელ ალფრედსონი (3+3), მარიან ჰოსა (2+3), რადეკ ბონკი (1+4).

ოტავა ვერ ასცდა ტორონტოსთან შეხვედრას. ზედიზედ მესამე პლეი ოფში ეჯახებიან ისინი ერთმანეთს. წინა ორი ოტავასთვის ფრიად არასანუგეშო გახლდათ და ამიტომ რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს „სენატორებმა“ განზრახ დაკარგეს ქულები, რათა პირველ რაუნდში ტორონტოს არ გადაჰყროდნენ. თუმცა ახლა ვერავინ გარისკავს, ამ წყვილში სრული გარანტიით ფსონს „ნეკერჩხლის ფოთლებზე“ ჩამოვიდეს, რადგან ოტავა, ერთი, რომ როგორც იქნა, გასცდა პირველ ეტაპს, მეორეც, ფილადელფიას შავი დღე აყარა. ტორონტომ კი აილენდერსთან სერიაში ლამის სული დალია და თან მათს სუნდინი გამოაკლდა ტრავმის გამო. თუმცა ტორონტოს გამოცდილმა მებრძოლებმა უმისოდაც ივარგეს.

**ESPN-ის პროგნოზი: 4:3 ტორონტოს სასარგებლოდ.**

# ერთი მულატი და ორი მეკარე

**ოთხშაბათს** ნჰლ-მა ოფიციალურად გამოაქვეყნა რეგულარული ჩემპიონატის პრიზების მაძიებელთა სია. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი ჯილდოს „ჰარტ როს ტროფიის“ (სეზონის MVP — უძვირფასესი) პრეტენდენტები ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კალგარელი მულატი ჯერომ იგინლა და ორი მეკარე — პატრიკ რუა (კოლორადო) და ჟოზე თეოდორი (მონრეალი) გახდნენ. 1994 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როცა „ჰარტ ტროფის“ ტიტულისთვის ორი მეკარე შეეცილება ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ იგინლამ ამ სეზონში 52 გოლი გაიტანა, რუამ ყველაზე ნაკლები გაუშვა, ხოლო თეოდორი დარტყმების მოგერიების ყველაზე მაღალი პროცენტით იწონებს თავს.

ცხადია, ეს ორი გოლკიპერი „ვეზინ ტროფის“ (საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი) მაძიებელთა შორისაცაა. ამ პრიზისთვის ფინიქსელი შონ ბურკიც იბრძოლებს. რუას უკვე აქვს სამი „ვეზინა“ (1988, 90, 92).

მცველთა შორისაც ცნობილი სახელებია. „ნორის ტროფის“ ფინალისტთაგან ორი დეტროიტელია — ნიკლას ლიდსტრიომი და კრის ჩელიოსი, აგრეთვე კოლორადოელი რობ ბლეიკი. მთავარი პრეტენდენტი, ალბათ, ლიდსტრიომია, რომელმაც ეს ჯილდო შარშანაც მოიპოვა. ბლეიკი 1998-ში იყო საუკეთესო, ხოლო ჩელიოსი სამგზის გამარჯვებულია (1989, 93, 96). ლიდსტრიომს სხვა პრიზის მოგებაც შეუძლია. შვედი კაროლინელ რონ ფრენსისს და კოლორადოელ ჯო საკიკს „ლედი ბინგ ტროფის“ შეეცილება, რომელიც ყოფა-ქცევით გამორჩეულთათვისაა დაწესებული. საკიკმა ამ ნომინაციაში შარშან იმარჯვა, ფრენსისს კი იგი ორჯერ მოუგია (1995, 98). „ფრენკ სელკე ტროფის“ მაძიებელთა შორისაც ორი ისეთი მოთამაშეა, ვინც ადრეც დაუფლებია ამ პრიზს. დალასელი იერე ლეჰტინენი დაცვაში ყველაზე მარჯვე ფორვარდი ორჯერ იყო (1998, 99), აილენდერსელი მაიკ პეკა კი — ერთხელ (1997). მესამე კანდიდატი, კრეიგ კონროი (კალგარი), ფინალისტი ადრეც ყოფილა.

საუკეთესო ახალბედასთვის განკუთვნილი „კოლდერ ტროფის“ უდავოდ ატლანტელი მოიგებს. ორ თანაკლუბელს — დანი ჰიტლისა და ილია კოვალჩუკს ფლორიდელი კრისტიან ჰუსელიუსი ტოლს ვერ დაუდებს.

საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილ „ჯეკ ადამს ტროფის“ მფლობელი კი ან ფინიქსელი ბობ ფრენსისი იქნება, ანაც ჩიკაგოელი ბრაიან სუტერი, ან კიდევ ბოსტონელი რობი ფტორეკი. სუტერს ეს ტიტული 1991 წელს რგებია. ამჯერად, ალბათ, მთავარი კანდიდატი ფრენსისია.

საინტერესოა, რომ ერთი დღით ადრე სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე თავისი კანდიდატები ჰოკეისტა ასოციაციამაც დაასახელა. ეს ორგანიზაცია თავის რჩეულს ჯილდოდ „ლესტერ ბ. პირსონის ავარდს“ გადასცემს. ჰოდა, მათი სია ოდნავ განსხვავებულია: ჰოკეისტებმა ჟოზე თეოდორს ფინიქსელი მეკარე შონ ბურკი ამჯობინეს.



ჯერომ იგინლა

# ბურთები–ისტორია

მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კორეის დედაქალაქ სეულში დიდი საფეხბურთო გამოფენა გაიხსნა. ერთ-ერთ სტენდზე ისტორიული ბურთებია გამოფენილი. ყოველ მსოფლიოს ჩემპიონატს ხომ თავისი ბურთი აქვს. მათი შეთვალიერება კი მართლაც საინტერესოა.






# თავისუფალი საღამო

ფილ ჯექსონს კვლავაც საუცხოო გუნდი ჰყავს და კვლავაც კარგ ხასიათზეა. ჩიკაგოელთა ოდინდელი მწვრთნელი ლოს ანჯელესის გმირიცაა და „ლეიკერსის“ გემს ზედიზედ მესამე ტიტულისკენ მიუძღვის. მოცალეობის ჟამს კი დიდი ფილი მეგობარ ჯენი ბასთან ერთად მისულა ახალი ფილმის, „სპაიდერმენის“ პრემიერაზე.



# ჰავაის ჰავაზე

მაიკ ტაისონი ჰავაიზეა და იქ ემზადება დიდი საჩემპიონო ბრძოლისთვის. მისი მწვრთნელები სტეისი მაკკინლი და რონი ბილდსი (სურათზე) თურმე განსაკუთრებული პროგრამით ამზადებენ კბილმოცვეთილ ცუდ ბიჭს. ბრძოლა ლენოქს ლუისის წინააღმდეგ მემფისში გაიმართება 8 ივნისს.



# ჯერჯერობით ეჭვმიტანილი

„ნიუ ჯერსი ნეთსის“ ყოფილი ვარსკვლავი ჯეისონ უილიამსი ახლა შავ დღეშია. მას ბრალად ედება საკუთარი მძღოლის ტყვიით მოკვლა და თუ სასამართლო დამნაშავედ ცნობს, ოცდაათწლიანი პატიმრობა ემუქრება. როგორც ამბობენ, მოწმეთა და ნივთმტკიცებთა მთელი წყება მის წინააღმდეგაა მიმართული.

# ძველი და უკვდავი

ათენი გაჩქარებით ემზადება მომავალი ოლიმპიადის სამასპინძლოდ. თქვენს წინაშე კი მართლაც ისტორიული ნაგებობაა: განთქმული პანათენიანის სტადიონი, სადაც ახალი დროის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1896 წელს.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge